



საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში
არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს
საავტომობილო გზების დეპარტამენტი

დოკუმენტის მომზადების ეტაპი: დასრულებული და განხილული ანგარიში

განსახლების კომპლექსური კვლევის შედეგების ანგარიში

საგარეჯოს აღმოსავლეთიდან (თოხლიაურის კვანძი) ბადიაურამდე (ლოტი 3) და
ბადიაურიდან თოხლიაურამდე (ლოტი 4) დამაკავშირებელი გზა (პროექტში
განხორციელებული ცვლილებების გამო, აღნიშნული საგზაო მონაკვეთი
ამოღებული იქნა ლოტი 4-დან და გათვალისწინებული იქნა ლოტი 3-ში)

კახეთის სატრანსპორტო კავშირის გაუმჯობესების პროექტი (KCIP)

მომზადებულია მარიამ ბეგიაშვილის მიერ

სოციალური უსაფრთხოების სპეციალისტი

განმახორციელებელი უწყება: საავტომობილო გზების დეპარტამენტი - საქართველოს
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

მსოფლიო ბანკი

სარჩევი:

1. პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია
2. კომპლექსური კვლევის ანგარიშის მიზანი და ამოცანები
 - 2.1 კონსულტანტის მიერ კომპლექსური შეფასების პროცესში განხორციელებული ქმედებები
3. ლოტი 4 - თბილისი-ბაკურციხის გზის ისტორია და სტატუსის განახლება
4. მოვლენების შემდგომი განვითარება
 - 4.1 დოკუმენტების განახლების პროცესი და აქტივობების ქრონოლოგია
5. პროექტის ფარგლებში მომზადებული განსახლების სამოქმედო გეგმების (გსგ) მოკლე აღწერა და განხორციელების სტატუსი
6. ლოტი 4-სთვის მომზადებული თავდაპირველი გსგ და ლოტი 4-ის დამაკავშირებელი გზისთვის 2024 წელს მომზადებული გსგ-ს მოკლე შინაარსი
7. ქვემოთ წარმოდგენილია ლოტი 4-ის თავდაპირველი გსგ-ს ფარგლებში ზემოქმედების შეჯამება:
8. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების აღწერა და სატელეფონო გამოკითხვა
 - 8.1 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების დემოგრაფიული პროფილი
 - 8.2 ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების ეთნიკური წარმომავლობა
 - 8.3 ქალაქთან-სოფელთან სიახლოვე
 - 8.4 ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების განათლების დონე
 - 8.5 ფინანსური ვალდებულებები
9. 2024 წლის ნოემბრის მდგომარეობით, 800 მეტრიანი დამაკავშირებელი გზის განახლებული გსგ-ის ნაწილის განხორციელების სტატუსი.
10. 2025 წლის მაისის მდგომარეობით, 800 მეტრიანი დამაკავშირებელი გზის განახლებული გსგ-ის ნაწილის განხორციელების სტატუსი.
11. 2025 წლის აგვისტოს მდგომარეობით, 800 მეტრიანი დამაკავშირებელი გზის განახლებული გსგ-ის ნაწილის განხორციელების სტატუსი.
12. 2025 წლის მაისის მდგომარეობით უკვე დასრულებული განსახლების პროცედურების დეტალური მაჩვენებლები და დაგეგმილი განსახლების სავარაუდო მაჩვენებლები, რომელთა დასრულებაც 2025 წლის აგვისტოს ბოლოსთვის იგეგმება.
13. მიწის შესყიდვისა და განსახლების შესახებ საქართველოს კანონებისა და რეგულაციების მიმოხილვა
 - 13.1 მიწის შესყიდვის, მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული შეზღუდვებისა და არანებაყოფლობითი განსახლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და ESS5 მოთხოვნების შედარება
14. საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) დანერგვა

15. კონსულტანტის მიერ კომპლექსური კვლევის ანგარიშის დროს ჩატარებული შეხვედრები
16. კონსულტანტის მიერ განხილვის საფუძველზე გაკეთებული განცხადება
17. საჯარო კონსულტაციები
18. შემდეგი ნაბიჯები და გამოსასწორებელი ღონისძიებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აბრევიატურები

ACS	შესყიდვისა და კომპენსაციის სქემა
AP	ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი
DMS	დეტალური აზომვითი კვლევები
ESIA	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
GoG	საქართველოს მთავრობა
GRM	საჩივრების განხილვის მექანიზმი
IA	განმახორციელებელი უწყება
IFI	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი
IP	მკვიდრი მოსახლეობა
Km	კილომეტრი
LAR	მიწების შესყიდვა და განსახლება
LARC	მიწების შესყიდვა და განსახლება კომისია
RPF	განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი
RAP	განსახლების სამოქმედო გეგმა
M&E	მონიტორინგი და შეფასება
MOF	ფინანსთა სამინისტრო
MPR	სამუშაოების მიმდინარეობის ყოველთვიური ანგარიში
MI	ინფრასტრუქტურის სამინისტრო
NAPR	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
PAH	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობა
RD	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
RDMI	საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
RoW	განთვსების ზოლი
ESID	გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახური
SES	სოციალურ-ეკონომიკური კვლევა
WB	მსოფლიო ბანკი

ტერმინთა განმარტება

<p>პროექტის ზემოქმედების ქვემოქცეული შინამეურნეობა (კზქმ შინამეურნეობა)</p>	<p>შინამეურნეობის ყველა წევრი, რომელიც ცხოვრობს ერთ ჭერქვეშ და მუშაობს, როგორც ერთი ეკონომიკური ერთეული და ზარალდება პროექტის ან მისი კომპონენტების უარყოფითი ზემოქმედების შედეგად. ის შესაძლოა შედგებოდეს ნუკლეარული ოჯახისგან ან გაფართოებული ოჯახური ჯგუფისაგან.</p>
<p>პროექტის ზემოქმედების ქვემოქცეული პირები (PAP)</p>	<p>პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედების შედეგად დაზარალებული პირები.</p>
<p>შესაბამისობა</p>	<p>ნიშნავს ნებისმიერ პირ(ებ)ს, რომელიც კომპენსაციაზე უფლებამოსილების მიღების/მოკვეთის თარიღისათვის იმყოფებოდა პროექტის, მისი ქვეკომპონენტების ან სხვა ქვეპროექტის ნაწილის ზემოქმედების ქვემოქცეულ ტერიტორიაზე და შესაბამისად მოექცა პროექტის ზემოქმედების ქვეშ. კომპენსაციაზე უფლებამოსილება არ არის დამოკიდებული: (ა)მიწის საკუთრებაზე ან მის მიმართ სხვა ფორმალურ იურიდიულ უფლებებზე; (ბ)მიწის ან აქტივების მიმართ ჩვეულებაზე დაფუძნებულ უფლებაზე; ან (გ)არააღიარებადი კანონიერი უფლების ან პრეტენზიის არარსებობაზე იმ მიწებთან დაკავშირებით, რომელსაც პროექტის ზემოქმედების ქვემოქცეული პირები იკავებენ.</p>
<p>უფლებამოსილება</p>	<p>მთელი რიგი ღონისძიებებისა, რაც მოიცავს ფულად კომპენსაციას და ნატურით, ადგილმონაცვლეობის ხარჯებს, სარეაბილიტაციო დახმარებას, გადაადგილებასთან დაკავშირებულ დახმარებას, შემოსავლის ჩანაცვლებას და გადასახლებას, რომელიც უნდა მიიღონ გავლენის ქვეშ მყოფმა პირებმა, მიყენებული ზარალის ხასიათიდან გამომდინარე, მათი ეკონომიკური და სოციალური ბაზის აღსადგენად.</p>
<p>სერვიტუტი</p>	<p>სერვიტუტი წარმოადგენს უფლებას, რომელიც მიენიჭა საქართველოს მთავრობას მიწის მესაკუთრეთა მიერ, რათა მთავრობას ჰქონდეს წვდომა შესაბამის მიწის ნაკვეთებზე და</p>

	<p>მათი გამოყენების შესაძლებლობა როგორც ერთჯერადად, ისე პერიოდულად ან განუსაზღვრელი ვადით მომავალში. აღნიშნული ნაკვეთები გამოიყენება საჰაერო და მიწისქვეშა გადამცემი ხაზების მონტაჟის, ექსპლუატაციაში გაშვების, მოვლა-პატრონობისა და შეკეთების მიზნით. სერვიტუტის არსებობა გულისხმობს მთავრობის უფლებას, დროდადრო შევიდეს აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე, რაც შესაძლოა გავლენას ახდენდეს მესაკუთრის მიერ მათი გამოყენების შესაძლებლობაზე (მათ შორის, მიწის გამოყენების გარკვეული შეზღუდვების დაწესებით). მაგალითად, იმ ნაკვეთებზე, რომლებიც სერვიტუტით არის დატვირთული საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის ან მიწისქვეშა კაბელის გამო, არ იქნება შესაძლებელი ნაგებობის განთავსება, ვინაიდან ნებისმიერ დროს შეიძლება წარმოიშვას საჭიროება მთავრობის მიერ აღნიშნულ ობიექტებზე წვდომისა და სარემონტო სამუშაოების ჩატარებისა. “</p>
<p>მიწის გამოსყიდვა</p>	<p>იგულისხმება პროცესი, რომლის ფარგლებში მთავრობა, პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს მეშვეობით, პირისაგან მოითხოვს მის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის სრულად ან ნაწილობრივ გასხვისებას სახელმწიფოს სასარგებლოდ, პროექტის ან მისი რომელიმე კომპონენტის განხორციელების მიზნით</p>
<p>ჩანაცვლებითი ღირებულება</p>	<p>ნიშნავს აქტივების შეფასების მეთოდს, რომელიც ითვალისწინებს ზარალის საბაზრო ღირებულების ოდენობით, ან მისი უახლოესი ალტერნატივით ანაზღაურებას, რასაც დაემატება ნებისმიერი საოპერაციო ხარჯები, როგორცაა ადმინისტრაციული ხარჯები, გადასახადები, რეგისტრაციის და საკუთრების უფლებათნ დაკვაშირებული ხარჯები. იმ შემთხვევაში, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული სტანდარტის დაცვას, ჩანაცვლებითი ღირებულება, საჭიროებისამებრ, დამატებით გაიზრდება. ჩანაცვლებითი ღირებულება განისაზღვრება პროექტის დაწყებამდე ან საკუთრების უფლების ჩამორთმევამდე არსებულ საბაზრო ფასზე დაყრდნობით, რომელიც, როგორც წესი, უფრო</p>

	<p>მაღალია. იმ გარემოებაში, როდესაც მოქმედი ბაზრები არ არსებობს, შემუშავდება კომპენსაციის ისეთი მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს აღიდგინონ თავიანთი საარსებო წყაროები მინიმუმ იმ დონემდე, რომელიც ჰქონდათ საკუთრების უფლების ჩამორთმევამდე, ადგილმონაცვლობამდე ან მიწაზე წვდომის შეზღუდვამდე. რაც შეეხება იმ ზარალს, რომლის ფინანსური შეფასება ან ფულადი კომპენსირება შეუძლებელია (მაგალითად, საჯარო სერვისებზე, მომხმარებლებზე და მარაგებზე ხელმისაწვდომობა; თევზაობა, საძოვრების ან ტყის ზონების გამოყენება), განხორციელდება სპეციალური ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ექვივალენტურ ან კულტურულად მისაღებ რესურსებზე და შემოსავლის ალტერნატიულ წყაროებზე წვდომას.</p>
<p>რეაბილიტაცია</p>	<p>ნიშნავს ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს: (i) საჯარო დაწესებულებებზე, ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის აღდგენას; (ii) კულტურულ საკუთრებასა და საერთო საკუთრების რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფას; (iii) კულტურულ ობიექტებზე, საჯარო სერვისებზე, წყლის რესურსებზე, საძოვრებზე ან ტყის რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფას, მათ შორის ექვივალენტურ და კულტურულად მისაღებ რესურსებზე წვდომასა და შემოსავლის მიღების შესაძლებლობას; და (iv) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული იმ პირების ეკონომიკური და სოციალური საფუძვლების აღდგენას, რომლებიც აქტივების, შემოსავლებისა და სამსახურის დაკარგვის შედეგად სერიოზულად დაზარალდნენ. ყველა ასეთ პირს გააჩნია უფლება მიიღოს სარეაბილიტაციო დახმარება შემოსავლებისა და ცხოვრების დონის აღსადგენად. აღნიშნული ღონისძიებები უნდა განისაზღვროს ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან კონსულტაციის საფუძველზე, მათ შორის იმ პირებთან, რომელთა უფლებები შესაძლოა ფორმალურად აღიარებული არ იყოს.</p>
<p>განსახლება</p>	<p>ნიშნავს სრულად ან ნაწილობრივ, მუდმივ ან დროებით ფიზიკურ გადაადგილებას (ადგილმონაცვლობა, საცხოვრებელი მიწის/ან თავშესაფრის დაკარგვა) და ეკონომიკურ გადაადგილებას (მიწის, აქტივების დაკარგვა, ქონებაზე, შემოსავლის წყაროებსა ან საარსებო წყაროებზე წვდომის დაკარგვა), რაც გამოწვეულია (i) მიწის ნაკვეთის</p>

	<p>იძულებითი შესყიდვით, ან (ii) მიწის გამოყენების, ან პარკებსა და დაცულ ტერიტორიებზე წვდომის იძულებითი შეზღუდვით. განმარტება ვრცელდება განცდილ ზეგავლენებზე, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა ადგილი ფაქტობრივ ადგილმონაცვლეობას.</p>
<p>განსახლების სამოქმედო გეგმა</p>	<p>ნიშნავს, დროში განსაზღვრულ სამოქმედო გეგმას, რომელიც მომზადებულია განსახლების ზეგავლენის კომპენსაციისა და/ან შემცირების მიზნით</p>
<p>ადგილმონაცვლეობა</p>	<p>ნიშნავს პოტენციური პირების ფიზიკურ გადაადგილებას მათი პროექტის განხორციელებამდე არსებული საცხოვრებელი ან სამყოფელი ადგილიდან, სამუშაო ადგილიდან ან საქმიანობის ადგილიდან.</p>
<p>საკრებულო</p>	<p>არის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო. ადგილობრივი მმართველობის საშუალო დონე შედგება საქართველოს 69 მუნიციპალიტეტისა და ექვსი ქალაქისგან: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი, ბათუმი და სოხუმი. მუნიციპალიტეტის დონეზე წარმომადგენლობითი შტოა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი საკრებულოები (მუნიციპალიტეტის საკრებულო), ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლით ადმინისტრაციულ ერთეულში. თვითმმართველობის დონე შედგება დასახლებული პუნქტებისგან (თვითმმართველი ქალაქები) ან დასახლებების ჯგუფებისაგან (მუნიციპალიტეტები). დასახლებები შეიძლება იყოს სოფლები, დაბები (მინიმუმ 3,000 მოსახლე) და ქალაქები (მინიმუმ 5,000 მოსახლე). თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი შტოები შესაბამისად წარმოდგენილია ადგილობრივი საბჭოს (საკრებულო) და მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლით ადმინისტრაციულ ერთეულში. თვითმმართველობის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მოიცავს მიწათსარგებლობას და ტერიტორიულ დაგეგმარებას, ზონირებას, მშენებლობის ნებართვას და ზედამხედველობას, საცხოვრებლის საკითხებს და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებას.</p>
<p>მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობა</p>	<p>მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ოჯახებს განეკუთვნებიან ის შინამეურნეობები, რომლებმაც (i) დაკარგეს პროდუქტიული/ შემოსავლის მომტანი აქტივების 10% ან 10%-ზე მეტი, რომელიც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ</p>

	<p>მიწასთან შედარებით ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნობისთვის მთლიან მიწას წარმოადგენს, (ii) ფიზიკურად გადაადგილებული ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნობი, და (iii) ოჯახებს, რომლებიც კარგავენ კომერციულ/სამეწარმეო ობიექტებს.</p>
<p>არაფორმალური მოსახლეები</p>	<p>ზემოქმედების ქვეშ მყოფი არალეგალიზებული შინამეურნეობები რომლებიც კარგავენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთს/აქტივებს, რომელსაც ისინი იყენებენ უნებართვოდ საცხოვრებლად და/ან ოჯახისთვის შემოსავლის წყაროს უზრუნველყოფის მიზნით.</p>
<p>მოწყვლადი შინამეურნეობები</p>	<p>განსაკუთრებით დაუცველი ოჯახები, რომლებიც შეიძლება დაზარალდნენ არაპროპორციულად ან, მარგინალიზაციის რისკის წინაშე აღმოჩნდნენ მიწის შესყიდვისა და განსახლების ზემოქმედების შედეგად. ესენი არიან; (i) ქალებზე დამოკიდებული ოჯახები ან/და ოჯახები, მათზე დამოკიდებულ პირებთან ერთად და/ან მათ გარეშე; (ii) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის უფროსები; (iii) ღარიბი ოჯახები, ოფიციალურად დადგენილი სიღარიბის ზღვარის შესაბამისად; (iv) ხანდაზმული ოჯახები, რომელთაც არანაირი დახმარების წყარო არ გააჩნიათ; (v) ოჯახები, რომლებსაც არ აქვთ გარანტია არასაფუძვლიანი გამოსახლების წინააღმდეგ; (vi) კულტურული ან ეთნიკური უმცირესობები; და (vii) ლტოლვილები ან იძულებით გადაადგილებული პირები.</p>
<p>ყოველთვიური საარსებო მინიმუმი</p>	<p>საარსებო მინიმუმი საშუალო მომხმარებლისთვის x 2.25 ან საშუალო დასაქმებული ადამიანისთვის x1.99 , როგორც განისაზღვრა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (www.geostat.ge) მიერ 2024 წლის დეკემბრის ყოველწლიური მონაცემების საფუძველზე.</p>

1. პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია

თბილისი-ბაკურციხის გზა წარმოადგენს E-60 მაგისტრალის ალტერნატიული სატრანსპორტო დერეფნის ნაწილს, რომელიც აკავშირებს თბილისს კახეთის რეგიონთან და აზერბაიჯანის საზღვართან. საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულია რიგი ინფრასტრუქტურული პროექტები სახმელეთო ტრანსპორტის ფიზიკური და ოპერაციული კლიმატის გასაუმჯობესებლად, საერთაშორისო განვითარების ისეთ პარტნიორების მხარდაჭერით, როგორებიც არიან: მსოფლიო ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო. თავდაპირველი პროექტირება დაფინანსდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის ფარგლებში (EWHIP-4).

საპროექტო გზის სრული გეგმა მოიცავს ორ ძირითად მონაკვეთს. ესენია: თბილისი - საგარეჯო (დაახლოებით 35 კმ) და საგარეჯო-ბაკურციხის (დაახლოებით 45 კმ) მონაკვეთები. საერთო სიგრძე დაახლოებით 80 კმ-ია. გზა იწყება თბილისის აღმოსავლეთით და მთავრდება ბაკურციხეში, სადაც იგი დაუკავშირდება ბაკურციხე-წნორის მონაკვეთს. დერეფნის ეს ნაწილი კვეთს საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს. არსებული გზისა და სხვა ნაგებობების განახლება მოითხოვს სატრანსპორტო საშუალებების გამტარუნარიანობის გაფართოებას. აღნიშნული მოიცავს ხელოვნური ნაგებობებს, რომლებიც საშუალო ტოპოგრაფიულ და გეოლოგიურ პირობებში, წარმოადგენილი იქნება მიმდინარე სატრანსპორტო მოძრაობის მცირე შეფერხებით. მთავარი მიდგომაა გზის მთლიანი მარშრუტის ოპტიმიზაცია და მისი გადაქცევა ორზოლიან - ჩქაროსნულ გზად გადაკეთება.


საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმებით, თავდაპირველად, თბილისი-ბაკურციხის გზა ხუთ სამშენებლო ლოტად დაიყო, თუმცა მოგვიანებით, ლოტი 1 ორ ლოტად გაიყო: ლოტი 0 და ლოტი 1. ლოტები 2, 3, 4 და 5


უცვლელი დარჩა. თითოეული სამშენებლო ლოტისთვის ხორციელდება დამოუკიდებელი პროექტის შემუშავება. უფრო კონკრეტულად კი, სამშენებლო ლოტებია:

- სამშენებლო ლოტი 0 - თბილისის აღმოსავლეთ ნაწილიდან ვაზიანის შემოვლით გზამდე.
- სამშენებლო ლოტი 1- ვაზიანიდან სართიჭალამდე (ივრის რკინიგზის სადგური).
- სამშენებლო ლოტი 2- სართიჭალიდან (ივრის რკინიგზის სადგური) საგარეჯოს აღმოსავლეთამდე (თოხლიაურის კვანძი).
- სამშენებლო ლოტი 3 - საგარეჯოს აღმოსავლეთიდან (თოხლიაურის კვანძი) ბადიაურამდე.
- სამშენებლო ლოტი 4 - ბადიაურიდან ჩალაუბანამდე.
- სამშენებლო ლოტი 5 - ჩალაუბანიდან ბაკურციხემდე.

პროექტს მართავს ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ყველა ლოტის პროექტის რუკა, ასევე დამაკავშირებელი საგზაო რუკა წარმოდგენილია ქვემოთ:





2. კომპლექსური კვლევის ანგარიშის მიზანი და ამოცანები

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი გეგმავს მშენებარე ლოტი 3-ის დაკავშირებას არსებულ თბილისი–საგარეჯო–ბაკურციხის საავტომობილო გზასთან. აღნიშნული კავშირის უზრუნველსაყოფად, მე-4 ლოტის ფარგლებში დაახლოებით 800-მეტრიანი მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებისთვის მომზადება და განსახლების პროცედურების განხორციელება გახდა საჭირო, არსებული დეტალური პროექტის შესაბამისად. საავტომობილო გზების დეპარტამენტის სოციალური უსაფრთხოების სპეციალისტი, საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის (RDMI) სოციალურ და გარემოსდაცვით ჯგუფთან თანამშრომლობით, ახორციელებს ზემოაღნიშნული დამაკავშირებელი საგზაო მონაკვეთის კომპლექსურ კვლევას. კვლევის შედეგი უნდა მოიცავდეს ხარვეზების ანალიზს და პროექტის განსახლების სამოქმედო გეგმის გადამოწმებას, განსახლების ასპექტების შესაბამისობის თვალსაზრისით, მსოფლიო ბანკის ESS 5 (გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტი) მოთხოვნებთან.

განსახლების კომპლექსური კვლევის ანგარიშის მიზნების მისაღწევად, შესრულებული უნდა იქნას შემდეგი ამოცანები:

- საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის დახმარების გაწევა იმის ახსნასა და დადასტურებაში, რომ დამაკავშირებელი გზის განსახლების სამოქმედო გეგმა (გსგ) ხორციელდება მსოფლიო ბანკის ESS5-ის შესაბამისად;

- საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერა არსებული დოკუმენტაციის განხილვის პროცესში სოციალური პერსპექტივიდან და საჭიროების შემთხვევაში შემარბილებელი ღონისძიებების შეთავაზება;
- საჭიროების შემთხვევაში, მსოფლიო ბანკისთვის შესაბამისი განმარტებების მიწოდება;
- შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრა და გამოსასწორებელი ღონისძიებების შეთავაზება (საჭიროების შემთხვევაში).

განსახლების კომპლექსური კვლევის ანგარიშის (RDDR) მთავარი მიზანია გადამოწმდეს და დოკუმენტურად დასაბუთდეს, განხორციელდა თუ არა მიწის შესყიდვის აქტივობები მსოფლიო ბანკის ESS5-ისა და ეროვნული კანონმდებლობის სრული დაცვით.

1. შესაბამისობის დადასტურება

- შეფასდეს აკმაყოფილებს თუ არა განსახლების ყველა აქტივობა პოლიტიკის მოთხოვნებს (ESS5, RAP-ის ვალდებულებები, სასესხო ხელშეკრულების დებულებები და ეროვნული კანონმდებლობა).

2. ხარვეზების იდენტიფიცირება

- განსახლების განხორციელების პროცესში ნებისმიერი შეუსაბამობის, შეფერხების ან პროცედურული ხარვეზის გამოვლენა

3. შედეგების გადამოწმება

- განისაზღვროს, მიიღეს თუ არა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულმა პირებმა (პზქმ პირები) განსახლების სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული ყველა უფლება (კომპენსაცია, შემწეობა და სხვა შესაბამისი სარგებელი).

4. ეფექტურობის შეფასება

- შეფასდეს, იყო თუ არა კომპენსაციის ზომები ეფექტური და უზრუნველყოფილი იქნა თუ არა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების ცხოვრების დონის აღდგენა ან გაუმჯობესება¹.

5. საჩივრების განხილვის პროცესის შემოწმება

- შემოწმდეს საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) ეფექტიანობა და ფუნქციონირება.

¹ პუნქტები 1, 2, 3, 5 და 6 დასრულებულია. ეფექტიანობის შეფასება ნაწილობრივ დასრულებულია; თუმცა, ცხოვრების დონის აღდგენა ან გაუმჯობესება მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ გახდება ცნობილი. ამიტომ, ეს ინფორმაცია შევა შესაბამისობის ანგარიშში, რომელიც მომზადდება მე-3 ლოტისა და მე-3 ლოტთან დაკავშირებული დამაკავშირებელი გზისთვის. შესაბამისობის ანგარიშის მომზადების ვადები შეთანხმებული იქნება მსოფლიო ბანკის გუნდთან.

6. გამოსასწორებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაცია

- ღონისძიებებისა და ვადების შეთავაზება პროექტის დასრულებამდე დარჩენილი ნებისმიერი პრობლემის მოსაგვარებლად.

სგდ-ს მიერ გათვალისწინებული იყო, რომ ლოტი 3-ის და ლოტ 3-თან დაკავშირებული დამაკავშირებელი გზის შესაბამისობის ანგარიში მომზადდება და გასაჯაროვდება მხოლოდ მიმდინარე ექსპროპრიაციის ქეისების სრულად დასრულების შემდეგ. აღნიშნული პროცესის დასრულება იგეგმება 2025 წლის დეკემბრის ბოლოსთვის; შესაბამისად, შესაბამისობის ანგარიში მომზადდება და ბანკებს წარედგინება 2026 წლის თებერვლის ბოლომდე.

2.1. კონსულტანტის მიერ კომპლექსური შეფასების პროცესში განხორციელებული ქმედებები

განსახლების კომპლექსური კვლევის ანგარიშის ფარგლებში განსაზღვრული ამოცანის შესასრულებლად, პირველ ეტაპზე განხილული იქნა არსებული განსახლების დოკუმენტები და მასთან დაკავშირებული ტექნიკური მასალა, რომელიც ჩამოთვლილია 2.1 თავში. 2024 წლის თებერვლიდან დაიწყო სავლე კვლევები და აზომვა-ინვენტარიზაციის პროცესი. ამ პროცესის დაწყებამდე, 2024 წლის 1 თებერვლიდან ორკვირიანი პერიოდის განმავლობაში, პროექტის განსახლების მენეჯერმა უზრუნველყო კომუნიკაცია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ყველა პირთან, რათა მათთვის მიეწოდებინა ინფორმაცია სავლე სამუშაოებზე პასუხისმგებელი კომპანიის შერჩევის შესახებ და განემარტა, რომ აღნიშნული კომპანია დაიწყებდა მისთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებას.

ESS5-ისა და RAP-ის დებულებების შესაბამისად, 2024 წლის 15 თებერვალი განისაზღვრა პროექტის კომპენსაციის „მოკვეთის თარიღად“. აღნიშნული თარიღი წარმოადგენს საბოლოო ვადას კომპენსაციის მიღების უფლებისთვის. შესაბამისად, ამ თარიღის შემდეგ განხორციელებული ნებისმიერი ახალი აქტივობა, მიწის გაუმჯობესება ან ცვლილება კომპენსაციას ან დახმარებას აღარ დაექვემდებარება.

- ინვენტარიზაციისა და აზომვის დოკუმენტები მომზადებულია შპს ალიგატორის მიერ, 2024 წლის თებერვალში დამაკავშირებელი გზისთვის;
- შეფასების ანგარიში (2024 წლის მარტი), მომზადებული შპს „ალიგატორისთვის“ ინდივიდუალური დამოუკიდებელი შემფასებლის, მინდია ტაბალუას მიერ;
- პროექტის ფარგლებში გამოყენებული კომპენსაციის Exce-ის ფორმა და მატრიცა;
- ტექნიკური დოკუმენტები - პროექტის მომზადებასთან დაკავშირებული კორესპონდენცია, რომელიც საჭიროებს ანალიზს განსახლების დოკუმენტებთან ერთად;
- საჩივრების ჟურნალი და პრეტენზიები- მიღებული 2024 წლის მაისიდან 2025 წლის მაისამდე პერიოდში;
- საჯარო კონსულტაციებთან დაკავშირებული დოკუმენტები/ფოტოები;
- ყიდვა-გაყიდვისა და კომპენსაციის ხელშეკრულებები

დოკუმენტების განხილვის დროს შეფასდება შემდეგი:

- შპს „ალიგატორის“ მიერ მომზადებული RAP-ის დოკუმენტების შესაბამისობა ESS5-ის მოთხოვნებთან;
- გამოყენებული შეფასების მეთოდოლოგიების შესაბამისობა და აღწერილობის სიზუსტე, ასევე განსახლების განხორციელების პროცესში, საჯარო კონსულტაციების დროსა და საჩივრების განხილვის მექანიზმში გამოყენებული მიდგომების სისწორე და ეფექტიანობა.

3. ლოტი 4 - თბილისი-ბაკურციხის გზის ისტორია და სტატუსის განახლება

თბილისი-ბაკურციხის გზის მე-4 ლოტის თავდაპირველი განსახლების სამოქმედო გეგმა (გსგ), რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ ბადიურიდან ჩალაუბნის მონაკვეთს, დასრულდა და წარდგენილი იქნა 2021 წლის სექტემბერში. კერძოდ, აღნიშნული სამშენებლო მონაკვეთი იწყება ბადიურის კვანძიდან (პკ 52+540) და სრულდება ჩალაუბანში, დაპროექტებული კვანძის შემდეგ (პკ 75+100).

სამშენებლო ლოტის საერთო სიგრძე შეადგენს 22.56 კმ-ს, რომელიც გადის შემდეგ ძირითადი დასახლებზე: მზისგული, შიბლიანი, კაჭრეთი, ნანიანი, არაშენდა, მელაანი და ჩალაუბანი.

თავდაპირველი განსახლების სამოქმედო გეგმით (გსგ) კომპენსაციის „მოკვეთის თარიღად“ განისაზღვრა 2020 წლის 2 ივნისი. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწისა და აქტივების შეფასება ჩატარდა დამოუკიდებელი, ლიცენზირებული შემფასებლის მიერ და ეფუძნებოდა 2020 წლის ივნისში მომზადებულ შეფასების ანგარიშს.

4. მოვლენების შემდგომი განვითარება

შემდგომში, გზების დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება განსახლების პროცედურების დაწყების შესახებ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გამოყენებით, საწყის ეტაპზე დონორი ორგანიზაციის უშუალო ჩართულობის გარეშე. აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებული იყო დეპარტამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, უზრუნველყო მე-3 ლოტის სამშენებლო მონაკვეთის დაკავშირება არსებულ თბილისი-საგარეჯო-ბაკურციხის ავტომაგისტრალთან. აღნიშნული დაკავშირების უზრუნველსაყოფად, მე-4 ლოტის ფარგლებში დაახლოებით 800-მეტრიანი მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოებისთვის მომზადება და განსახლების პროცედურების განხორციელება გახდა საჭირო, არსებული დეტალური პროექტის შესაბამისად.

4.1. დოკუმენტების განახლების პროცესი და აქტივობების ქრონოლოგია

1. 2024 წლის 15 თებერვალი - 15 მარტი: ჩატარდა პროექტის ზემოქმედების ქვემოქცეული მონაკვეთზე აღწერა და საველე კვლევა/ინვენტარიზაცია.
2. 2024 წლის მარტი - საველე სამუშაოების დროს შეგროვებული განახლებული მონაცემების საფუძველზე მომზადდა შეფასების ანგარიში².
3. 2024 წლის 14 მაისი- ოფიციალურად დაიწყო განსახლების პროცედურები.
4. 2024 წლის ნოემბერი - გზების დეპარტამენტმა მსოფლიო ბანკს აცნობა, რომ არსებობს შესაძლებლობა, რომ აღნიშნული მონაკვეთი აშენდეს, როგორც მე-3 ლოტის გაგრძელება, მსოფლიო ბანკის პოტენციური დაფინანსებით.
5. 2024 წლის 18 დეკემბერს, ინჟინერმა სამშენებლო კომპანიას სთხოვა, წარმოედგინა საგარეჯო-ბადიურისა (ლოტი 3) და ბადიური-ბაკურციხეს (ლოტი 4) დამაკავშირებელი გზის კონცეპტუალური პროექტი.
6. 2025 წლის 17 თებერვალი - ინჟინერმა სამშენებლო კომპანიის მიერ შემუშავებული განახლებული კონცეპტუალური პროექტი საავტომობილო გზების დეპარტამენტს განსახილველად წარუდგინა.
7. 2025 წლის მაისი-ივლისი - 54 ოჯახის სატელეფონო გამოკითხვა და მცირე ჯგუფური/ინდივიდუალური შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან.
8. განხილვის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ 2020 წელს მომზადებული დეტალური პროექტი უცვლელად შენარჩუნებულიყო და სამშენებლო სამუშაოების დაწყება განხორციელდეს ყველა შესაბამისი განსახლების პროცედურის დასრულების შემდეგ.

5. პროექტის ფარგლებში მომზადებული განსახლების სამოქმედო გეგმების (გსგ) მოკლე აღწერა და განხორციელების სტატუსი

პროექტირება და შეფასება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით. თავდაპირველად, ხუთივე გსგ მომზადდა მსოფლიო ბანკის OP 4.12-ის შესაბამისად, მოგვიანებით, 2022 წლის თებერვალში, ლოტი 3-სთვის გსგ განახლდა მსოფლიო ბანკის ახალი ESS5-ის შესაბამისად.

1 და მე-2 ლოტებისთვის მომზადებული გსგ-ები განხორციელდა, სამშენებლო სამუშაოები დასრულდა და გზის აღნიშნული მონაკვეთი ექსპლუატაციაში შევიდა.

ლოტი 3-სთვის მომზადებული გსგ 99,5%-ით არის შესრულებული (გარდა 5 დაუსრულებელი ქეისისა), გზის ამ მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს.

გსგ-ის განახლებული დოკუმენტები, როგორცაა ინვენტარიზაცია, აღწერა და შეფასების ანგარიში, მომზადებული მე-4 ლოტისთვის ESS 5-ის შესაბამისად,

² გთხოვთ იხილოთ დანართი N2

ნაწილობრივ განხორციელდა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მე-7 თავში.

ლოტი 5-სთვის მომზადებული გსგ-ის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა.

6. ლოტი 4-სთვის მომზადებული თავდაპირველი გსგ და ლოტი 4-ის დამაკავშირებელი გზისთვის 2024 წელს მომზადებული გსგ-ს მოკლე შინაარსი

თბილისი-ბაკურციხის გზის ლოტი 4-ის თავდაპირველი განსახლების სამოქმედო გეგმა (გსგ), რომელიც მოიცავს აღმოსავლეთ ბადიაურიდან ჩალაუბნის მონაკვეთს, დასრულდა და წარდგენილი იქნა 2021 წლის სექტემბერში. კერძოდ, აღნიშნული სამშენებლო მონაკვეთი იწყება ბადიაურის კვანძიდან (პკ 52+540) და სრულდება ჩალაუბანში, დაპროექტებული კვანძის შემდეგ (პკ 75+100). სამშენებლო ლოტის საერთო სიგრძე შეადგენს 22.56 კმ-ს, რომელიც გადის შემდეგ ძირითადი დასახლებზე: მზისგული, შიბლიანი, კაჭრეთი, ნანიანი, არაშენდა, მელაანი და ჩალაუბანი.

თავდაპირველი განსახლების სამოქმედო გეგმით (გსგ) კომპენსაციის „მოკვეთის თარიღად“ განისაზღვრა 2020 წლის 2 ივნისი. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწისა და აქტივების შეფასება ჩატარდა დამოუკიდებელი, ლიცენზირებული შემფასებლის მიერ 2020 წლის ივნისში.

7. ქვემოთ წარმოდგენილია ლოტი 4-ის თავდაპირველი გსგ-ს ფარგლებში ზემოქმედების შეჯამება:

N	ზემოქმედება	ერთეული	
მიწათსარგებლობის ფორმები			
1	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების საერთო რაოდენობა	№	670
2	გამოსასყიდი მიწის ფართობის საერთო რაოდენობა	კვმ	1.442,057
3	კატეგორია 1. კერძო საკუთრებაში არსებული რეგისტრირებული ნაკვეთები	№	329
		კვმ	791,743
4	კატეგორია 2. დაკანონებადი ნაკვეთები (კანონიერი მომხმარებლების სარგებლობაში არსებული ნაკვეთები)	№	268
		კვმ	374,628
5	კატეგორია 3. სს „საქართველოს რკინიგზის“ ნაკვეთები	№	18
		კვმ	90,861
6	კატეგორია 4. არადაკანონებადი ნაკვეთები (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნაკვეთები, რომლებსაც უკანონო მომხმარებლები იყენებენ)	№	9
		კვმ	43,279
7	კატეგორია 5. სს „სსე“-ს (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია) ნაკვეთები	№	3
		კვმ	3 671

N	ზემოქმედება	ერთეული	
8	კატეგორია 6. სახელმწიფო მიწა, რომელსაც კერძო მომხმარებლები არ იყენებენ	№	28
		კვმ	65,267
9	კატეგორია 7. მუნიციპალური მიწა	№	15
		კვმ	72 608
მიწათსარგებლობა და კომპენსაციის კატეგორიები			
10	ტიპი 1. სასოფლო-სამეურნეო (სახნავ-სათესი მიწა) (4.2 0 ლარი/კვმ)	№	24
		კვმ	28,102
11	ტიპი 2. სასოფლო-სამეურნეო (სახნავ-სათესი მიწები) საავტომობილო გზის პირას (6.50 ლარი/კვმ)	№	533
		კვმ	998322
12	ტიპი 3. საცხოვრებელი მიწა (13.50 ლარი/კვმ)	№	8
		კვმ	6,036
13	ტიპი 4. არასასოფლო-სამეურნეო (40 ლარი/კვმ)	№	12
		კვმ	14,593
14	ტიპი 5. არასასოფლო-სამეურნეო მიწა, რომელიც გამოიყენება კომერციული მიზნებისთვის (55.0 ლარი/კვმ)	№	19
		კვმ	41,320
15	ტიპი 6. არასასოფლო-სამეურნეო მიწა, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის (6.50 ლარი/კვმ)	№	1
		კვმ	77,998
16	ტიპი 7. სს „საქართველოს რკინიგზა“ (5.0 ლარი/კვმ)	№	18
		კვმ	90,861
17	ტიპი 8. არალეგალიზებადი ნაკვეთები (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნაკვეთები, რომლებსაც იყენებენ ოფიციალური მოიჯარეები)	№	9
		კვმ	43,279
18	ტიპი 9. სახელმწიფო მიწა, რომელსაც არ იყენებენ კერძო მომხმარებლები (სახელმწიფო მიწა, მუნიციპალური მიწა და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სს „სე“-ს მიწა)	№	46
		კვმ	141546
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ფორმები			
19	ღობიო	კვმ	3640
20	პომიდორი	კვმ	586
21	სიმინდი	კვმ	33979
22	ხახვი	კვმ	132
23	ნიორი	კვმ	172
24	მარწყვი	კვმ	145
25	შერეული ბოსტნეული	კვმ	1749
26	ხორბალი	კვმ	260838
27	ქერი	კვმ	5518
28	თივა	კვმ	7118
29	კიტრი	კვმ	300
30	კარტოფილი	კვმ	230
31	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ხეები	№	161,637
ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაგებობები			
32	საცხოვრებელი სახლები	№	2
33	მცირე ზომის შენობები (საცხოვრებელი, მაღაზიები, ბენზინგასამართი სადგურები და ა.შ.) და დამხმარე შენობები (ფარდულები და დამხმარე ნაგებობები; პირუტყვის ფარდული და ა.შ.)	№	63
34	ღობეები, კარიბჭეები, ვენახის ბოძები	№	352
35	სხვა ტიპის მცირე ზომის ნაგებობები (ჭები, ფუტკრის სკები და ა.შ.)	№	50
ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ბიზნესი			
36	არა	№	2
ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობები			

N	ზემოქმედება	ერთეული	
37	პუბლიკაციების შინამეურნეობის ჯამური რაოდენობა (ოჯახები + კერძო კომპანიები)		373
38	პუბლიკაციების შინამეურნეობის საერთო რაოდენობა, რომლებიც კარგავენ კანონიერ საკუთრებაში არსებულ მიწას (რეგისტრირებული და დაკანონებადი)		364*
39	პუბლიკაციების შინამეურნეობები, რომლებიც კარგავენ იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთს		9
40	კომპანიები, რომლებიც კარგავენ საკუთრებაში არსებულ მიწას (გარდა სს საქართველოს რკინიგზისა)		8
41	კომპანიები, რომლებიც კარგავენ იჯარით აღებულ მიწას		0
42	მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი შინამეურნეობები	№	362
43	მოწყვლადი შინამეურნეობები	№	16
44	განსახლებული (ფიზიკურად გადასახლებული) შინამეურნეობები	№	2
45	პუბლიკაციების შინამეურნეობები, რომლებიც კარგავენ რეგისტრირებულ ნაკვეთებს	№	230*
46	პუბლიკაციების შინამეურნეობები, რომლებიც კარგავენ დაკანონებად მიწის ნაკვეთებს	№	198*
47	პუბლიკაციების შინამეურნეობები, რომლებიც კარგავენ არაღეგალიზებად მიწის ნაკვეთებს	№	9
48	პუბლიკაციების შინამეურნეობები, რომლებიც კარგავენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს	№	347
49	პუბლიკაციების შინამეურნეობები, რომლებიც კარგავენ საცხოვრებელ მიწის ნაკვეთებს	№	6
50	პუბლიკაციების შინამეურნეობები, რომლებსაც აქვთ არასასოფლო-სამეურნეო (კომერციული) მიწის ნაკვეთები	№	22
51	პუბლიკაციების შინამეურნეობები, რომლებიც კარგავენ სამუშაო ადგილებს	№	0
52	პუბლიკაციების შინამეურნეობები, რომლებიც კარგავენ ბიზნესს	№	2
53	პუბლიკაციების შინამეურნეობები, რომლებიც კარგავენ მოსავალს	№	119
54	პუბლიკაციების შინამეურნეობები, რომლებიც კარგავენ ხეებს	№	275
50	პუბლიკაციების შინამეურნეობის ჯამური რაოდენობა	№	1496
* ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების საერთო რაოდენობა, რომლებიც კარგავენ კანონიერ საკუთრებაში არსებულ მიწას (რეგისტრირებულ და ლეგალიზებად ნაკვეთებს), ნაკლებია რეგისტრირებული და ლეგალიზებადი ნაკვეთების მქონე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობების მექანიკურ ჯამზე, რადგან ბევრი პუბლიკაციების შინამეურნეობა ერთდროულად ფლობს რეგისტრირებულ და ლეგალიზებად ნაკვეთებს.			

მოგვიანებით, 2024 წლის 15 თებერვალს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა დაიწყო ლოტი 4-ის განსახლების სამოქმედო გეგმის (გსგ) ინვენტარიზაციისა და აღწერის ნაწილის განახლება, აღნიშნული ანგარიშის მე-4 თავში აღწერილი მიზნების საფუძველზე. შესაბამისად, ლოტი 4-ის განახლებული გსგ-სათვის „მოკვეთის თარიღად“ დადგენილ იქნა 2024 წლის 15 თებერვალი. ლოტი 4-ის

აღნიშნული ნაწილის შეფასების ანგარიში მომზადდა 2024 წლის მარტში. განახლებული მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ.

N	ზემოქმედება	ერთეუ ლი	
მიწათსარგებლობის ფორმები			
1	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების საერთო რაოდენობა	№	923
2	გამოსასყიდი მიწის ფართობის საერთო რაოდენობა	კვმ	113,613
3	კატეგორია 1. კერძო საკუთრებაში არსებული რეგისტრირებული ნაკვეთები	№	71
		კვმ	101,171
4	კატეგორია 2. დაკანონებადი ნაკვეთები (კანონიერი მომხმარებლების სარგებლობაში არსებული ნაკვეთები)	№	21
		კვმ	12,442
5	კატეგორია 3. სს „საქართველოს რკინიგზის“ ნაკვეთები	№	0
		კვმ	-
6	კატეგორია 4. არადაკანონებადი ნაკვეთები (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნაკვეთები, რომლებსაც უკანონო მომხმარებლები იყენებენ)	№	0
		კვმ	-
7	კატეგორია 5. სს „სსე“-ს (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია) ნაკვეთები	№	0
		კვმ	-
8	კატეგორია 6. სახელმწიფო მიწა, რომელსაც კერძო მომხმარებლები არ იყენებენ	№	0
		კვმ	-
9	კატეგორია 7. მუნიციპალური მიწა	№	0
		კვმ	-
მიწათსარგებლობა და კომპენსაციის კატეგორიები			
10	ტიპი 1. არსებული გზიდან მოშორებით მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები (6.15 ლარი/კვმ)	№	24
		კვმ	28,358
11	ტიპი 2. სასოფლო-სამეურნეო (სახნავ-სათესი მიწები) მიწები არსებული გზის სიახლოვეს (6.70 ლარი/კვმ)	№	52
		კვმ	70,635
12	ტიპი 3. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები, რომლებიც მდებარეობს საკარმიდამო ზონაში (18.00 ლარი/კვმ)	№	11
		კვმ	6,388
13	ტიპი 4. არასასოფლო-სამეურნეო (55 ლარი/კვმ)	№	3
		კვმ	6,698
14	ტიპი 5. არასასოფლო-სამეურნეო მიწა, რომელიც გამოიყენება კომერციული მიზნებისთვის (42.0 ლარი/კვმ)	№	2
		კვმ	1,534
15	ტიპი 6. არასასოფლო-სამეურნეო მიწა, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის	№	0
		კვმ	-
16	ტიპი 7. სს „საქართველოს რკინიგზა“	№	0
		კვმ	-
17	ტიპი 8. არალეგალიზებადი ნაკვეთები (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნაკვეთები, რომლებსაც იყენებენ ოფიციალური მოიჯარეები)	№	0
		კვმ	-
18	ტიპი 9. სახელმწიფო მიწა, რომელსაც არ იყენებენ კერძო მომხმარებლები (სახელმწიფო მიწა, მუნიციპალური მიწა და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სს „სსე“-ს მიწა)	№	0
		კვმ	-
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ფორმები			

³ All these 92 plots were also included in the initial RAP prepared for Lot 4.

N	ზემოქმედება	ერთეული	
19	ლობიო	კვმ	55
20	პომიდორი	კვმ	-
21	სიმინდი	კვმ	3,870
22	ხახვი	კვმ	32
23	ნიორი	კვმ	71
24	მარწყვი	კვმ	40
25	შერეული ბოსტნეული	კვმ	30
26	ხორბალი	კვმ	-
27	ქერი	კვმ	-
28	თივა	კვმ	-
29	კიტრი	კვმ	-
30	კარტოფილი	კვმ	-
31	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ხეები	№	135,849
ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაგებობები			
32	საცხოვრებელი სახლები	№	2
33	მცირე ზომის შენობები (საცხოვრებელი, მაღაზიები, ბენზინგასამართი სადგურები და ა.შ.) და დამხმარე შენობები (ფარდულები და დამხმარე ნაგებობები; პირუტყვის ფარდული და ა.შ.)	№	22
34	ღობეები, ჭიშკრები, ვენახის ბოძები	№	42
35	სხვა ტიპის მცირე ზომის ნაგებობები (ჭები, ფუტკრის სკები და ა.შ.)	№	12
ზემოქმედების ქვეშ მოქცეული არამოქმედები ბიზნესი			
36	არა	№	2
ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობები			
37	პზქმ შინამეურნეობების ჯამური რაოდენობა (ოჯახები + კერძო კომპანიები)		54
38	პზქ მოქცეული ოჯახების საერთო რაოდენობა, რომლებიც კარგავენ კანონიერ საკუთრებაში არსებულ მიწას (რეგისტრირებული და დაკანონებული)		54
39	პზქ მოქცეული ოჯახები, რომლებიც კარგავენ იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთს		0
40	კომპანიები, რომლებიც კარგავენ საკუთრებაში არსებულ მიწას (გარდა სს საქართველოს რკინიგზისა)		2
41	კომპანიები, რომლებიც კარგავენ იჯარით აღებულ მიწას		0
42	მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი შინამეურნეობები	№	46
43	მოწყვლადი შინამეურნეობები	№	0
44	განსახლებული (ფიზიკურად გადასახლებული) შინამეურნეობები	№	2
45	პზქ მოქცეული შინამეურნეობები, რომლებიც კარგავენ რეგისტრირებულ ნაკვეთებს	№	50
46	პზქ მოქცეული შინამეურნეობები, რომლებიც კარგავენ დაკანონებად მიწის ნაკვეთებს	№	17
47	პზქ მოქცეული შინამეურნეობები, რომლებიც კარგავენ არალეგალიზებად მიწის ნაკვეთებს	№	0
48	პზქ მოქცეული შინამეურნეობები, რომლებიც კარგავენ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს	№	46
49	პზქ მოქცეული შინამეურნეობები, რომლებიც კარგავენ საცხოვრებელ მიწის ნაკვეთებს	№	7
50	პზქ მოქცეული შინამეურნეობები, რომლებსაც აქვთ არასასოფლო-სამეურნეო (კომერციული) მიწის ნაკვეთები	№	2

N	ზემოქმედება	ერთეული	
51	პზქ მოქცეული შინამეურნეობები, რომლებიც კარგავენ სამუშაო ადგილებს	№	0
52	პზქ მოქცეული შინამეურნეობები, რომლებიც კარგავენ ბიზნესს	№	2
53	პზქ მოქცეული შინამეურნეობები, რომლებიც კარგავენ მოსავალს	№	4
54	პზქ მოქცეული შინამეურნეობები, რომლებიც კარგავენ ხეებს	№	47
50	პზქ მოქცეული პირების ჯამური რაოდენობა	№	221
<p>* ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების საერთო რაოდენობა, რომლებიც კარგავენ კანონიერ საკუთრებაში არსებულ მიწას (რეგისტრირებულ და ლეგალიზებად ნაკვეთებს), ნაკლებია რეგისტრირებული და ლეგალიზებადი ნაკვეთების მქონე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობების მექანიკურ ჯამზე, რადგან ბევრი პზქ მოქცეული შინამეურნეობა ერთდროულად ფლობს რეგისტრირებულ და ლეგალიზებად ნაკვეთებს.</p>			
<p>** ამ მატრიცაში განსაზღვრული მიწის კომპენსაციის კატეგორიები შეესაბამება 2024 წელს მომზადებულ შეფასების ანგარიშში განსაზღვრულ მიწის ფასის კატეგორიებს. აღნიშნული კატეგორიები განსხვავდება თავდაპირველ გსგ-ში წარმოდგენილი მიწის კატეგორიზაციისგან, რადგან კატეგორიზაციის მეთოდოლოგია შემუშავდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, კონკრეტული ტერიტორიის, მიწის მდებარეობის და მიმდინარე საბაზრო ფასების საფუძველზე.</p>			

8. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების აღწერა და სატელეფონო გამოკითხვა

ეს მონაცემები ეხება კონკრეტულად დამაკავშირებელი საგზაო მონაკვეთის მშენებლობას, რომლის საერთო სიგრძე შეადგენს 800 მეტრს და გადის ბადიაურისა და მზისგულის სოფლებში. 2024 წელს (თებერვალი-აპრილი) განხორციელებული ინვენტარიზაციის დროს ჩატარდა ადგილზე მყოფი უშუალო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების 100%-იანი აღწერა, ზპქ მოქცეული პირების იდენტიფიცირებისა და აღრიცხვის მიზნით. მოგვიანებით, კომპლექსური კვლევის ანგარიშის მომზადების დროს, 2025 წლის მაისი-ივლისში, ჩატარდა სატელეფონო გამოკითხვა იდენტიფიცირებულ 54 ოჯახთან, რაც შეადგენს 2024 წელს ჩატარებული აღწერის დროს იდენტიფიცირებულ ოჯახების 100%-ს.⁴ აღწერის მიზანი იყო ზემოქმედების ქვეშ მყოფი თითოეული ოჯახის და მათი საკუთრების სტატუსის გადამოწმება.

⁴ არსებობს ორი ეტაპი:

1. 2024 წლის მოსახლეობის აღწერა, რომლის დროსაც გამოვლინდა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახები და დათვლილი იქნა ყველა 54 ოჯახი;
2. 2025 წლის სატელეფონო გამოკითხვა, ამ გამოკითხვის დროს ზპქ მოქცეულ ყველა 54 ოჯახს დაუსვეს კითხვები დემოგრაფიისა და შინამეურნეობის პროფილის, განათლების, ეთნიკური კუთვნილების, მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. ამ თავში წარმოდგენილი ყველა მონაცემი აღებულია 2025 წლის სატელეფონო გამოკითხვიდან.

სატელეფონო გამოკითხვის მიზანი იყო ინფორმაციის შეგროვება ინდივიდებისა და ოჯახების შესახებ, როგორცაა დემოგრაფიული პროფილი, ეთნიკური კუთვნილება, ურბანული/სოფლის სიახლოვე, განათლების დონე და ფინანსური ვალდებულებები. სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიკური საქმიანობის, ასევე კომუნალური მომსახურების, როგორცაა წყალი, ელექტროენერგია და გაზი, ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაცია უცვლელი რჩება პროექტის არეალში. აღნიშნული მონაცემები წარმოდგენილია თავდაპირველ გსგ-ში.

8.1. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების დემოგრაფიული პროფილი

აღწერის მონაცემების მიხედვით, ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტერიტორია 221 ადამიანს მოიცავს, რომელთაგან 48.5% (107) ქალია, ხოლო 51.5% (114) მამაკაცი. ოჯახის საშუალოდ შედგება 4.1 წევრისგან.

ასაკობრივი ჯგუფები	მამრობითი სქესი		მდედრობითი სქესი		სულ		საშუალო/ შინამეურნეობა
	No.	%	No.	%	No.	%	
ბავშვები (6 წლამდე)	8	50.0%	8	50.0%	16	7.2%	0.30
ბავშვები (6–18 წლის)	16	51.6%	15	48.4%	31	14.0%	0.52
ზრდასრული (19–65 წლის მამაკაცები და 19–60 წლის ქალები)	75	51.4%	71	48.6%	146	66.1%	2.61
საპენსიო ასაკი (66 წლის და ზემოთ მამაკაცები და 61 წლის და ზემოთ ქალები)	15	51.7%	14	48.3%	29	13.1%	0.67
%	51.5		48.5		100		4.1

8.2. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახების ეთნიკური წარმომავლობა

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულია 54 ოჯახი და მათი უმრავლესობა (47) ქართველია. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 54 ოჯახიდან, 4 არის სომეხი, 2 უკრაინელი და 1 აზერბაიჯანელი. პროექტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეროვნებისთვის არ არსებობს ენობრივი ან სხვა სახის ბარიერი.

Sl.No.	ეთნიკური კუთვნილება	ოჯახების საერთო	%
--------	---------------------	-----------------	---

		რაოდენობა	
1	ქართველი	47	87.04
2	სომეხი	4	7.41
3	უკრაინელი	2	3.70
4	აზერი	1	1.85
სულ		54	100

8.3. ქალაქთან-სოფელთან სიახლოვე

დამაკავშირებელი გზა მდებარეობს სოფლის დასახლებაში, ბადიაურისა და მზისგულის სოფლებს შორის. სატელეფონო კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ყველა ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახი (100%) ცხოვრობს სოფლის დასახლებებში. ახალი გზა, სავარაუდოდ, დადებით გავლენას მოახდენს განთვისების ზოლის გასწვრივ არსებულ სოფლებზე, ასევე გზის სხვა მოსარგებლებზეც.

პოქმ ოჯახების განაწილება ქალაქთან-სოფელთან სიახლოვის მიხედვით:

No.	დასახლების ტიპი	ოჯახების საერთო რაოდენობა	%
1	სოფელი	54	100
2	ქალაქი (ურბანული)	0	0
სულ		54	100

8.4. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების განათლების დონე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, საპროექტო არეალის ფარგლებში - კერძოდ, ბადიაურისა და მზისგულის სოფლებიდან - შეგროვებული მონაცემები მიუთითებს, რომ გაუნათლებლობა ამ ტერიტორიაზე პრობლემას არ წარმოადგენს. ექვსი წლის და უფროსი ასაკის თითქმის ყველა პოქ მოქცეული პირი ამჟამად სკოლაში ან უნივერსიტეტში სწავლობს, ან უკვე მიღებული აქვს საბაზისო განათლება. მოსახლეობის დაახლოებით 33.03%-ს აქვს უმაღლესი განათლება, ხოლო 15.83%-ს -

სპეციალიზებული ტექნიკური განათლება. დარჩენილი პზქ მოქცეული პირები ამჟამად საშუალო სკოლაში სწავლობენ ან უკვე დაამთავრეს იგი.

ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების განათლების დონე.

Sl.No.	კატეგორია	კაცების No	კაცები %	ქალების No	ქალი %	რაოდენობა სულ	სულ %
1	განათლებელი	0	0.00	0	0.00	0	0.00
2	სკოლამდელი ასაკის	8	3.62	7	3.17	15	6.79
3	სწავლობს სკოლაში	15	6.79	15	6.79	30	13.57
4	აქვს საშუალო განათლება	20	9.05	48	21.72	68	30.77
5	პროფესიული განათლება	26	11.76	9	4.07	35	15.84
6	უმაღლესი განათლება	45	20.36	28	12.67	73	33.03
						სულ	100

8.5. ფინანსური ვალდებულებები

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული 54 ოჯახიდან, რომლებმაც სესხებთან დაკავშირებით ინფორმაცია მოგვაწოდეს, ხუთმა განაცხადა, რომ ბანკის/მიკრო საფინანსო ორგანიზაციის ვალეები ჰქონდა.

Sl. No.	სასესხო ვალდებულებები	შინამეურნეობების რაოდენობა	%
1	Yes	5	9.26%
2	ბანკი	5	9.26%
3	კერძო კრედიტორი	0	0
5	არა	49	90.74%
სულ		54	100

ქვემოთ წარმოდგენილია ლოტი 4-ის გსგ-ის ნაწილისთვის 2024 წლის თებერვლის აღწერის მიხედვით საწყისი ბიუჯეტი:

დასახელება	ერთეულის ფასი	კვმ და რაოდენობა	მთლიანი ღირებულება (ლარი)
მიწის ნაკვეთი	სხვადასხვა	1.442,057 კვმ	1,195,558.2
ნაგებობები	2 საცხოვრებელი სახლი და სხვადასხვა მცირე ზომის შენობები, ლობები, ჭიშკრები, რკინის აუზები, მავთულხლართები და ა.შ.	78	920,421.5
ხეები	სხვადასხვა	135,849	1,203,442.0
მოსავალი	სხვადასხვა	4,098 კვმ.	2,716.1
ბიზნესები	არა-მოქმედი	0	0
პუბ მოქცეული მოწყვლადი ოჯახების დახმარება	1552.5 ⁵ ლარი	0	0
მწვავე ზემოქმედების დახმარება	1552.5ლარი	46	71,415
ადგილმონაცვლეობის/გადაადგილების დახმარება	1852.5ლარი	2	3,705
რეგისტრაციის საფასური	0	-	0 ⁶
გსგ-ს მართვა	-		0
ჯამი			3,397,257.8
გაუთვალისწინებელი ხარჯები	10%		339,725.78
სულ			3,736,983.58

9. 2024 წლის ნოემბრის მდგომარეობით, 800 მეტრიანი დამაკავშირებელი გზის განახლებული გსგ-ის ნაწილის განხორციელების სტატუსი.

⁵ საქსტატის მიერ გამოქვეყნებული საშუალო მომხმარებლისთვის 2024 წლის დეკემბრის ერთეულის ტარიფი
⁶ ეს თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცალკე გამოიყოფა.

დასახელება	მიწის ნაკვეთების რაოდენობა	%	შენიშვნა
დამაკავშირებელი გზის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების ჯამური რაოდენობა	92	100	
უკვე შექმნილი განახლებული აღწერის მიხედვით	78	85	მათ შორის ლეგალიზაციის პროცესში არსებული მიწის ნაკვეთები და ამ პუქ მოქცეული პირებისათვის გადახდილია მხოლოდ საკომპენსაციო თანხები, როგორცაა აქტივები და მრავალწლიანი ნარგავები.
დარჩენილია 2024 წლის ნოემბრის ბოლომდე	14	15	

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2024 წლის ნოემბრის ბოლოსთვის, გზების დეპარტამენტსა და მსოფლიო ბანკს შორის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის შესაძლო დაფინანსებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დაწყებამდე, აღნიშნული მარშრუტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების დაახლოებით **85%** უკვე გამოსყიდული იყო ლოტი 4-ისთვის მომზადებული თავდაპირველი გსგ-ით განსაზღვრული უფლებამოსილების მატრიცის შესაბამისად. განხორციელების პროგრესი დეტალურად აღწერილია ქვემოთ მოცემულ ნაწილებში, კერძოდ, მე-10 და მე-11 თავებში.

10. 2025 წლის მაისის მდგომარეობით, 800 მეტრიანი დამაკავშირებელი გზის განახლებული გსგ-ის ნაწილის განხორციელების სტატუსი.

დასახელება	მიწის ნაკვეთების რაოდენობა	%	შენიშვნა
დამაკავშირებელი გზის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების ჯამური რაოდენობა	92	100	
უკვე შეძენილი განახლებული აღწერის მიხედვით	84	91.3	მათ შორის ლეგალიზაციის პროცესში არსებული მიწის ნაკვეთები და ამ პუნქტში მოქცეული პირებისათვის გადახდილია მხოლოდ საკომპენსაციო თანხები, როგორცაა აქტივები და მრავალწლიანი ნარგავები.
მინიმალიზაცია	1	1.09	
დარჩენილია 2025 წლის მაისის ბოლომდე	7	7.61	

11. 2025 წლის აგვისტოს მდგომარეობით, 800 მეტრიანი დამაკავშირებელი გზის განახლებული გსგ-ის ნაწილის განხორციელების სტატუსი.

დასახელება	მიწის ნაკვეთების რაოდენობა	%	შენიშვნა
დამაკავშირებელი გზის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული	92	100	

მიწის ნაკვეთების ჯამური რაოდენობა			
უკვე შეძენილი განახლებული აღწერის მიხედვით	87	94.6	მათ შორის ლეგალიზაციის პროცესში არსებული მიწის ნაკვეთები და ამ პუნქტში მოქცეული პირებისათვის გადახდილია მხოლოდ საკომპენსაციო თანხები, როგორცაა აქტივები და მრავალწლიანი ნარგავები.
მინიმალიზაცია	1	1.09	
დარჩენილია 2025 წლის აგვისტოს ბოლომდე	4	4.31	

12. 2025 წლის მაისის მდგომარეობით უკვე დასრულებული განსახლების პროცედურების დეტალური მაჩვენებლები და დაგეგმილი განსახლების სავარაუდო მაჩვენებლები, რომელთა დასრულებაც 2025 წლის აგვისტოს ბოლოსთვის იგეგმება.

ერთეული	უკვე დასრულებული	ბიუჯეტი (ლარი) უკვე გადახდილი	დარჩენილი ერთეულების რაოდენობა	ბიუჯეტი (ლარი) დარჩენილი
მიწის ნაკვეთი	69	1 137 428.15	დარჩენილი ერთეულების რაოდენობა	42 517.5
სახლები	2	487 050	0	0
დამხმარე ნაგებობები	13	374 695	0	0
ღობეები/ბოძები/ჭიშკრები და ა.შ.	54	104 915.9	7	10 416.8
მრავალწლიანი ნარგავები	68	1 090 032	15	131 930
მარცვლელი კულტურა	6	2 816.1	0	0
მწვავე ზემოქმედება	18	19 989	4	4 676

დახმარება მოწყვლადი ოჯახებისთვის	0	0	0	0
ადგილმონაცვლეობის დახმარება	2	2738	0	0
ჯამი	77	3 219,664.15	20	189,540.3

2025 წლის აგვისტოს მონაცემებით, დარჩენილი კომპენსირებადი ერთეულების საერთო რაოდენობა აღემატება მიწის ნაკვეთების საერთო რაოდენობას (92), რაც გამოწვეულია მოცულობების ორმაგი დათვლით.

13. მიწის შესყიდვისა და განსახლების შესახებ საქართველოს კანონებისა და რეგულაციების მიმოხილვა

საქართველოში, გზის მშენებლობასთან დაკავშირებული აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებების გამო, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებზე სახელმწიფო საკუთრების უფლების მოპოვების საკითხები რეგულირდება ქვემოთ ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტებით:

- (i) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
- (ii) საქართველოს კანონი „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“;
- (iii) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- (iv) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
- (v) საქართველოს კონსტიტუცია;
- (vi) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- (vii) „სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- (viii) საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“;
- (ix) საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- (x) საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“;
- (xi) საქართველოს კანონი „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“;
- (xii) საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- (xiii) საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;

არსებული კანონები ითვალისწინებს, რომ დაკარგული აქტივების, მათ შორის მიწის, ნაგებობების, ხეებისა და მოსავლის კომპენსაცია უნდა ეფუძნებოდეს მოქმედ საბაზრო ღირებულებას ამორტიზაციის გარეშე. მთლიანობაში, ზემოთ მოცემული კანონები / ნორმები ითვალისწინებს, რომ სრული ჩანაცვლებითი ღირებულების მიხედვით ანაზღაურების პრინციპი მიზანშეწონილი და მისაღებია სამართლებრივი თვალსაზრისით. კანონმდებლობით ასევე განსაზღვრულია კომპენსაციას დაქვემდებარებული ზიანის ტიპები და აღნიშნულია, რომ კომპენსაცია უნდა გაიცეს როგორც მატერიალური აქტივების, ისე შემოსავლის დაკარგვისათვის. ხსენებული კანონების თანახმად კონსულტაციებსა და შეტყობინებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რათა უზრუნველყონ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების ამ პროცესში ჩართულობა. მოსავლის დაკარგვითა და ბიზნესის დახურვით გამოწვეული შემოსავლის დაკარგვისთვის კომპენსაციის გაცემა მოხდება წმინდა დანაკარგის ასანაზღაურებლად. ზემოთ მოცემული კანონები და ნორმები საშუალებას იძლევა საკუთრების უფლების კანონიერი გამოყენებისთვის გამოყენებული იქნას შემდეგი მექანიზმები:

1. განთვისების ზოლზე უფლების მოპოვება ექსპროპრიაციის გარეშე სათანადო კომპენსაციის გადახდის გზით მოლაპარაკების, ან მისი წარუმატებლობის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე სამუშაოების დაწყებამდე;
2. ექსპროპრიაციას, რომელიც მიწაზე და/ან უძრავ ქონებაზე მუდმივი უფლების მოპოვების საშუალებას იძლევა „საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების უფლების ჩამორთმევის წესის“ შესახებ კანონის ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სათანადო კომპენსაციის გადახდის გზით.
3. ექსპროპრიაციისა და არანებაყოფლობითი/სავალდებულო სერვიტუტის პროცედურის სამართლებრივი საფუძვლები ერთმანეთისგან განსხვავდება, თუმცა ორივე მოითხოვს სასამართლო დავას. ექსპროპრიაციის პროცედურა რეგულირდება „საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების უფლების ჩამორთმევის წესის“ შესახებ საქართველოს კანონით, ხოლო სავალდებულო სერვიტუტის

სამართლებრივი საფუძვლები განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით -

„თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზედაც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს“.

მიწის გამოსყიდვა, პირველ რიგში, განხორციელდება ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ინდივიდუალურ სუბიექტებთან მოლაპარაკების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკებები შეთანხმებით არ დასრულდება, დაიწყება ექსპროპრიაციის პროცესი, რომელიც ხორციელდება იძულებითი ჩამორთმევის წესით. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მოთხოვნის საფუძველზე, ეკონომიკის სამინისტრო გამოსცემს ექსპროპრიაციის შესახებ ბრძანებას. აღნიშნულ ბრძანებას განიხილავს შესაბამისი რაიონული სასამართლო, რომელიც აფასებს საზოგადოებრივი საჭიროების არსებობას და განსაზღვრავს ექსპროპრიაციის სუბიექტს, რომელსაც მიენიჭება მიწის ნაკვეთის მიღების უფლება. საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო ასევე ნიშნავს დამოუკიდებელ მესამე მხარეს დაკარგული აქტივების საბაზრო ღირებულების განსაზღვრად და ზუსტი კომპენსაციის დასადგენად, რაც უზრუნველყოფს მიწის მესაკუთრეებისთვის სათანადო ანაზღაურების გადახდას.

13.1 მიწის შესყიდვის, მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული შეზღუდვებისა და არანებყოფლობითი განსახლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობისა და ESS5 მოთხოვნების შედარება

საერთო ჯამში, საქართველოს კანონმდებლობა ადეკვატურად ასახავს მსოფლიო ბანკის ESS5-ის ძირითად პრინციპებსა და დებულებებს, თუმცა აღსანიშნავია რამდენიმე განსხვავება. ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ისაა, რომ საქართველოს კანონმდებლობა ყურადღებას ამახვილებს საკუთრების უფლებების ფორმალურ აღიარებასა და საზოგადოებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე ქონების შესყიდვისა და ანაზღაურების წესზე, მაშინ როდესაც ESS5-ის მიდგომა უფრო ფართოა და მოიცავს არა მხოლოდ კანონიერ მფლობელობაში არსებული აქტივების ანაზღაურებას, არამედ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახებისა და ინდივიდების საარსებო წყაროს მთლიან რეაბილიტაციას.

შესაბამისად, ESS5 ავსებს საქართველოს კანონმდებლობას დამატებითი მოთხოვნებით, რომლებიც მოიცავს:

- (i) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა პირისა და ოჯახის ეკონომიკური რეაბილიტაციის უზრუნველყოფას (მათ შორის იმ პირებისა, რომლებიც სამართლებრივად/ფორმალურად არ ფლობენ პროექტის ფარგლებში შესყიდულ აქტივებს);
- (ii) ბიზნესისა და შემოსავლის დაკარგვის კომპენსაციის უზრუნველყოფას;
- (iii) სპეციალური დახმარებისა და ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფას, რომელიც მიმართულია როგორც განსახლების პროცესში გაწეული ხარჯების დაფარვაზე, ისე განსაკუთრებული მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ან მოწყვლადი პირების/ოჯახების მხარდაჭერაზე.

ასევე, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მოლაპარაკება განიხილება, როგორც ექსპროპრიაციის ალტერნატიული მექანიზმი, მაშინ როდესაც ESS5-ის მიხედვით, ექსპროპრიაციის საფრთხის პირობებში წარმართული მოლაპარაკება კვლავ შეფასებულია, როგორც არანებაყოფლობითი განსახლება. გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კონკრეტულ მოთხოვნებს ფართო საზოგადოების ჩართულობისა და კონსულტაციების საფუძველზე განსახლების სამოქმედო გეგმის (გსგ) მომზადების აუცილებლობის კუთხით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის ESS5-ს შორის ძირითადი განსხვავებები და ხარვეზების აღმოფხვრის გზები:

საკანონმდებლო მატრიცა

საქართველოს კანონები და ნორმატიული აქტები	მსოფლიო ბანკის ESS5	გამოსასწორებელი ღონისძიებები
მიწის კომპენსაცია მხოლოდ მიწის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის მქონე მიწის მესაკუთრეებისთვის.	საკუთრების უფლების არარსებობა არ უნდა იქცეს დაბრკოლებად კომპენსაციისა და/ან რეაბილიტაციის დახმარების მისაღებად. მიწის ისეთი მესარგებლეები, რომელთაც საკუთრების უფლება არ გააჩნიათ, მიიღებენ	პრაქტიკაში, ლეგალიზებადი მიწის მესაკუთრეთა კატეგორიაც იღებს კომპენსაციას მას შემდეგ, რაც მოიპოვებს შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტებს. დეპარტამენტი მხარს უჭერს იმ პირებს, რომელთაც საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა არ გააჩნიათ, რათა მათ შეძლონ მისი მიღება და,

საქართველოს კანონები და ნორმატიული აქტები	მსოფლიო ბანკის ESS5	გამოსასწორებელი ღონისძიებები
	<p>კომპენსაციას და რეაბილიტაციის დახმარებას იმ ნაგებობებისა და აქტივებისათვის, რომლებიც მათ აღნიშნულ მიწაზე აქვთ განთავსებული.</p>	<p>ადგილმონაცვლეობამდე, კომპენსაციის მიღებაც. იმ შემთხვევებში, როდესაც გარკვეული მიზეზის გამო მიწის მესარგებლე ვერ ახერხებს საკუთრების უფლების რეგისტრაციას, განმახორციელებელი უწყება მიმართავს მთავრობას თანხმობისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ საკუთრების უფლების არმქონე მოსარგებლეებმა ადგილმონაცვლეობამდე მიიღონ რეაბილიტაციის დახმარება და/ან კომპენსაცია.</p>
<p>პროექტის ფარგლებში მიწის შესყიდვით გამოწვეული ზიანის/დემონტაჟის კომპენსაცია გამოიყოფა მხოლოდ რეგისტრირებულ სახლებზე/შენობებზე</p>	<p>პროექტთან დაკავშირებული მიწის შესყიდვით გამოწვეული ზიანის/დემონტაჟის კომპენსაციას იღებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა სახლი/ნაგებობა, მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსისა.</p>	<p>სავარაუდოდ, ქონების უმეტესობა დარეგისტრირდება ფაქტობრივი მესაკუთრის სახელზე, პროექტის მხარდაჭერით, რომელიც მოიცავს იურიდიულ და რეგისტრაციის უზრუნველყოფის დახმარებას. შესაბამისად, კომპენსაციის მიღების უფლება ექნება ყველა იმ ოჯახს, რომელიც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვდება. გარდა ამისა, მშენებლობის პროცესში წარმოშობილი დაზიანების შემთხვევაში, კომპენსაციის გაცემაზე პასუხისმგებელი იქნება მშენებელი კონტრაქტორი, ხოლო ზედამხედველობას პროცესზე განახორციელებს გზების დეპარტამენტის შესაბამისი ჯგუფი.</p>
<p>მოსავლისა და ხეების დაკარგვის შემთხვევაში კომპენსაცია გაიცემა მხოლოდ რეგისტრირებული მიწის მესაკუთრებისთვის.</p>	<p>მოსავლის დაკარგვის კომპენსაცია ასევე ეკუთვნის მიწის მესაკუთრებს, მენახევრებს, მოიჯარეებსა და სხვა მოსარგებლეებს, მათ შორის თვითნებურად შეჭრილ პირებს (სკვოტერებს), მიუხედავად</p>	<p>საქართველოში პრაქტიკულად ყველა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში ან მუნიციპალიტეტების არქივში. იჯარით სარგებლობის შემთხვევაში, კომპენსაცია გაიცემა მოიჯარეებისა და სხვა მომხმარებლების მიმართ მათი</p>

საქართველოს კანონები და ნორმატიული აქტები	მსოფლიო ბანკის ESS5	გამოსასწორებელი ღონისძიებები
	იმისა, არიან თუ არა რეგისტრირებული.	ფაქტობრივი დანაკარგების საკომპენსაციოდ, ხოლო დამატებით უზრუნველყოფილი იქნება დახმარება, რათა მათ შეძლონ ალტერნატიული მიწის ნაკვეთებზე საქმიანობის გაგრძელება.
აქტივების დაკარგვის კომპენსაცია ეფუძნება საბაზრო ღირებულებას, ცვეთის გათვალისწინების გარეშე.	აქტივების დაკარგვის კომპენსაცია ეფუძნება სრულ ჩანაცვლებით ღირებულებას, რომელიც მოიცავს საბაზრო ღირებულებას ცვეთის გათვალისწინების გარეშე, აგრეთვე საოპერაციო ხარჯებს, როგორცაა გადასახადები და რეგისტრაციის საფასური. დამატებით, კომპენსაციაში შედის განსახლებისთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის მიწის დამუშავებისა და გამოყენებისთვის მომზადების ღირებულება.	გზების დეპარტამენტი დანერგავს მკაფიო სამართლებრივ და ადმინისტრაციულ პროცედურებს, რათა უზრუნველყოს პუბლიკის დახმარება და დაფაროს საკუთრების აღიარებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი. აქტივების შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება ჩანაცვლებით ღირებულებაზე დაყრდნობით, ESS5-ის მოთხოვნების შესაბამისად.
პროექტის განმახორციელებელი უწყება არის ერთადერთი ორგანო სასამართლომდე, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება დავებზე და გადაწყვიტოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული აქტივების კომპენსაციის ოდენობისა და შეფასების შესახებ პრეტენზიები. საჩივრები განიხილება საქართველოს	საჩივრები და პრეტენზიები შესაძლოა გადაწყდეს არაფორმალურადაც – პროექტის დონეზე მოქმედი საჩივრების განხილვის მექანიზმის საშუალებით. აღნიშნული მექანიზმი, გარკვეულ შემთხვევებში, შეიძლება მოიცავდეს საზოგადოების მონაწილეობას საჩივრების განხილვის კომიტეტების (GRC), ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების და/ან თემის დონეზე მოქმედი საზოგადოებრივი	დეპარტამენტის განსახლების ჯგუფი უზრუნველყოფს მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების საჩივრების მიღებას, რეგისტრაციასა და განხილვას. მუნიციპალიტეტების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სოფლების წარმომადგენლები პროცესში ჩაერთვებიან ადრეული ეტაპებიდან, რაც შესაძლებელს გახდის დავებისა და პრეტენზიების გადაწყვეტას (თუ ეს შესაძლებელია) თემის დონეზე. იმ შემთხვევაში, თუ ეს ვერ მოხერხდება, საქმის განხილვა გაგრძელდება ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს კანონები და ნორმატიული აქტები	მსოფლიო ბანკის ESS5	გამოსასწორებელი ღონისძიებები
<p>ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ფორმალური პროცედურების შესაბამისად. ადგილობრივ დონეზე საზოგადოების მონაწილეობით არაფორმალური საჩივრების განხილვის მექანიზმი არ არსებობს.</p>	<p>ორგანიზაციების (CBO) ჩართულობით.</p>	
<p>მიწის შესყიდვისა და განსახლების შესახებ გადაწყვეტილებები განიხილება მხოლოდ მიწის მესაკუთრეებსა და მიწის შესყიდვაზე პასუხისმგებელ უწყებას შორის.</p>	<p>განსახლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ზემოქმედების ქვემოქცეული აქტივების შეფასების კრიტერიუმების, კომპენსაციის მიღების უფლებამოსილებისა და კომპენსაციის/ფინანსური დახმარების შესახებ, საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს და კონსულტაციები უნდა გაიმართოს დაგეგმვის პროცესში.</p>	<p>გსგ-ს მომზადება განხორციელდება შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ჩართულობის გზით და გსგ საჯაროდ გამოქვეყნდება და კონსულტაციები გაიმართება. თუმცა, ზემოქმედების ქვემოქცეული პირების პირადი ინფორმაცია ან თითოეული პირის/ოჯახის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხები საჯაროდ არ გამოქვეყნდება.</p>
<p>არ არის გათვალისწინებული შემოსავლის/საარსებო წყაროს აღდგენა, ასევე მწვავე ზემოქმედების ქვემოქცეული ან მოწყვლადი პირებისათვის დახმარება ან განსახლების ხარჯები.</p>	<p>მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ითვალისწინებს შემოსავლის/საარსებო წყაროს აღდგენის, მწვავე ზემოქმედების ქვემოქცეული ან მოწყვლადი პირებისათვის დახმარებას ან განსახლების პროცესში გაწეული ხარჯების კომპენსაციას.</p>	<p>გზების დეპარტამენტი შეიმუშავებს მკაფიო სამართლებრივ პროცედურებს, რათა უზრუნველყოს დამატებითი დახმარება მწვავე ზემოქმედების ქვემოქცეული ან მოწყვლადი ოჯახებისთვის RAP-ის შესაბამისად, და განსახლების კომპენსაციის გააცემას ყველა იმ ოჯახისთვის, რომელიც კვალიფიცირდება, როგორც მოწყვლადი და /ძლიერი ზემოქმედების ქვემოქცეული.</p>

საქართველოს კანონები და ნორმატიული აქტები	მსოფლიო ბანკის ESS5	გამოსასწორებელი ღონისძიებები
<p>საქართველოს კანონმდებლობით არის განსაზღვრული საჯარო კონსულტაციებისა და ჩართულობის კონკრეტული გეგმა.</p>	<p>საჯარო კონსულტაციები და მონაწილეობა, ასევე ჩართულობა, მსოფლიო ბანკის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, რომელიც წარმოადგენს უწყვეტ პროცესს კონცეფციის, მომზადების, განხორციელების და ბოლოს, განხორციელების შემდგომ პერიოდში.</p>	<p>საჯარო კონსულტაციების პროცესი განხორციელდება მსოფლიო ბანკის მოთხოვნებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, RAP-ის განხორციელებამდე.</p> <p>შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროება და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული თემებისა და პირების კონსტრუქციული მონაწილეობა უზრუნველყოფილი იქნება როგორც ალტერნატიული პროექტის განხილვის ეტაპზე, ასევე შემდგომში კომპენსაციის პროცესის დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების, საარსებო წყაროს აღდგენის ღონისძიებებისა და ადგილმონაცვლეობის პროცესის განმავლობაში.</p>
<p>პროექტის ფარგლებში მიწის გამოსყიდვით გამოწვეული ბიზნესის (ოფიციალურად რეგისტრირებული) ზარალის აღიარება და კომპენსაცია ხდება ოფიციალური საგადასახადო დეკლარაციის საფუძველზე.</p>	<p>ყველა სახის მოქმედი ბიზნესი (ოფიციალურად რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული) მიიღებს კომპენსაციას ნაღდი ფულით. კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება ერთწლიანი შემოსავლის ოდენობით საგადასახადო დეკლარაციის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი საფუძველი არ არსებობს (შემოსავლის დაკარგვა როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური ეკონომიკური საქმიანობიდან), კომპენსაცია განისაზღვრება ოფიციალური მინიმალური შემოსავლის ოდენობით,</p>	<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი უზრუნველყოფს, რომ ყველა ბიზნესი აღიარებული და კომპენსირებული იყოს განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) მოთხოვნების შესაბამისად, ადგილმონაცვლეობის განხორციელებამდე.</p>

საქართველოს კანონები და ნორმატიული აქტები	მსოფლიო ბანკის ESS5	გამოსასწორებელი ღონისძიებები
	რომელიც აუცილებელია ბიზნესის არსებობისთვის.	

14. საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) დანერგვა

პროექტის დონეზე შემუშავებულია საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM), რომლის მიზანია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი პოტენციური საჩივარის განხილვა. პროექტის პირველივე ეტაპიდან (პროექტირება და ყველა RAP-ის მომზადების ეტაპი) ნებისმიერ დაინტერესებულ მხარესა და ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს აქვს შესაძლებლობა წამოჭრას საკითხები ან შეკითხვები ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ, რომელსაც არ ეთანხმება, ასევე პრაქტიკისა და საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია მიწისა და სხვა აქტივების კომპენსაციასთან. საჯარო და ინდივიდუალური კონსულტაციების დროს, ასევე ლოტი 3 და ლოტი 4-ის RAP-ების მომზადებისა და განხორციელების პროცესში, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები სრულად იყვნენ ინფორმირებულნი თავიანთი უფლებებისა და საჩივრების განხილვის პროცედურების შესახებ. ეს განხორციელდა როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი კონსულტაციების, კვლევისა და კომპენსაციის პროცესში.

ამჟამად მოქმედი საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომელიც ფუნქციონირებდა როგორც ლოტი 3-ის, ისე ლოტი 4-ის თავდაპირველი RAP-ების შემუშავების პერიოდიდან და გაგრძელდა მათი განხორციელების მთელ პროცესში, ადგილობრივ მოსახლეობას დეტალურად განემარტა საჯარო კონსულტაციების ფარგლებში. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს მიეწოდათ ასევე RAP-ის განხორციელების მენეჯერის საკონტაქტო ინფორმაცია – ქალბატონი მანანა ბაზაძე (ტელ.: 577533746; ელ-ფოსტა: manana.bazadze@georoad.ge). აღნიშნული საკონტაქტო მონაცემები და საჩივრის ფორმა გამოკრული იყო საინფორმაციო დაფებზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შენობაში, აგრეთვე მთავარ სამშენებლო ბანაკში.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მიღებული ყველა სიტყვიერი და წერილობითი საჩივარი აღირიცხებოდა საჩივრების ჟურნალში და განიხილებოდა დადგენილ ვადებში. საჩივრების განხილვის მექანიზმი მოიცავს როგორც მუნიციპალურ დონეზე შექმნილ პროექტ-სპეციფიკურ სისტემებს, ისე საავტომობილო გზების დეპარტამენტში მოქმედ რეგულარულ მექანიზმებს. პროექტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის დონეზე ჩამოყალიბდა საჩივრების განხილვის კომიტეტი, რომელიც, როგორც პროექტზე მორგებული ინსტრუმენტი, მოქმედებს პროექტის განხორციელების მთელ პერიოდში. გარდა ამისა, საავტომობილო გზების დეპარტამენტში იქმნება საჩივრების განხილვის კომისია, როგორც ფორმალური სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს საჩივრების განხილვის, გადაწყვეტისა და აღრიცხვის პროცესების განხორციელებას. იგივე GRM სისტემა მოქმედებს დამაკავშირებელი გზის RAP-ის მომზადებისა და განხორციელების პროცესშიც.

ქვემოთ წარმოდგენილია 2024 წლის მაისიდან 2025 წლის ივლისის ჩათვლით საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მიღებული წერილობითი და ზეპირი საჩივრების რაოდენობრივი მიმოხილვა:

საკითხის კატეგორია	ქეისების რაოდენობა
დარჩენილი ნაწილის შექმნის მოთხოვნა	15
კომპენსაციის ოდენობის გაზრდა	3
დოკუმენტაციის მოთხოვნა (შეფასების ანგარიში, განსახლების სამოქმედო გეგმა და ა.შ.)	2
მიწის ნაკვეთის/აქტივის კატეგორიის ცვლილება	2
ქონების ხელახალი შეფასება	3
შემოთავაზებული თანხაზე უარის თქმა და ხელახალი შეფასების მოთხოვნა	1
დღგ-ს გადახდის მოთხოვნა	1
მისასვლელი გზის მშენებლობის ან მთლიანი მიწის ნაკვეთის შექმნის მოთხოვნა.	2
სულ დასრულებული/დახურული ქეისები	23
მიმდინარე ქეისები	6

2024 წლის მაისიდან დღემდე, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა სულ 29⁷ სიტყვიერი და წერილობითი საჩივარი მიიღო. ამჟამად განხილვის პროცესშია 6 საჩივარი, ხოლო 4 საქმეზე დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები. თითოეული აღნიშნული საჩივრის დეტალური აღწერა წარმოდგენილია ქვემოთ.

N	პუქ მოქცეული პირი	მოთხოვნის/პრობლემის აღწერა	ქმედება	სტატუსი	ექსპროპრიაციის პროცედურების დაწყება
1	██████████ ██████████ ██████████	დარჩენილი ნაწილის შესყიდვის მოთხოვნა	პროექტის ფარგლებში, სამშენებლო კომპანია „Gocay Insaat Taahhut ve Ticaret Anonim Sirketi“-ს მიეცემა	მიმდინარე	არა

⁷ საჩივრების ჟურნალში რეგისტრირებულია სულ 27 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი. ვინაიდან ერთმა მათგანმა წარმოადგინა სამი დამოუკიდებელი საჩივარი, საერთო რაოდენობა 29-ს შეადგენს. გარდა ამისა, 2025 წლის მაისის მდგომარეობით, მიუხედავად იმისა, რომ 24 საჩივარი უკვე დახურულია, ერთმა ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა ხელახლა წარადგინა საჩივარი, რომელიც უკვე დახურულია.

			ინსტრუქციები მისასვლელი გზის მშენებლობასთან დაკავშირებით.		
2	██████████ ██████████	დარჩენილი ნაწილის შესყიდვის მოთხოვნა	მოთხოვნა უარყოფილია	მიმდინარე	კი
3	██████████ ██████████	ქონების ხელახალი შეფასება	მოთხოვნა უარყოფილია	მიმდინარე	კი
4	████████████████████ ██████████	„კომპენსაციის ოდენობის გაზრდის მოთხოვნა“ - - მიწის მესაკუთრე ასაჩივრებს მიწისათვის მინიჭებულ კატეგორიას და შესაბამის შეფასებას და ამტკიცებს, რომ მიწა უნდა კლასიფიცირდეს და შეფასდეს, როგორც საცხოვრებელი (საკარმიდამო) ნაკვეთი და არა როგორც სასოფლო-სამეურნეო მიწა, როგორც ეს დამოუკიდებელი შეფასების საფუძველზე განისაზღვრა	მოთხოვნა უარყოფილია	მიმდინარე	კი
5	████████████████████ ██████████	მოთხოვნა მისასვლელი გზის მშენებლობის ან მიწის ნაკვეთის სრული შესყიდვის შესახებ.	GRM კომისიის შესაბამისად	მიმდინარე	არა: კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, მიწის ნაკვეთის სრული შეძენა განხორციელდება. ამჟამად

⁸ კონკრეტულ შემთხვევებში, ზემოქმედების ქვეშ მყოფ ოჯახებს შეიძლება ჰქონდეთ მცდარი წარმოდგენა, რომ მათ სხვა ოჯახებთან შედარებით უფრო დაბალი კომპენსაცია მიიღეს. შესაბამისად, მათ შეიძლება წარმოადგინონ მოთხოვნა საკომპენსაციო თანხის გაზრდასთან დაკავშირებით. თუმცა, მსგავსი მოთხოვნები არ არის დასაბუთებული, რადგან კომპენსაციის ღირებულება გამოთვლილია დამოუკიდებელი, სერტიფიცირებული შეფასების ექსპერტის მიერ განსაზღვრული ერთეულის ფასების საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპროპრიაციის პროცედურების დასრულების შემდეგაც კი, პუბლიკურ პირებს აქვთ კანონიერი უფლება, სასამართლოში გაასაჩივრონ კომპენსაციის ოდენობა. თუ სასამართლო დაადგენს, რომ გაცემული კომპენსაცია არ ასახავს დაზარალებული მიწის სამართლიან საბაზრო ღირებულებას, მომჩივანს უფლება ექნება მიიღოს დამატებითი თანხა, რომელიც განისაზღვრება სასამართლოს გადაწყვეტილებით.

					მიმდინარეობს მიწის ნაკვეთისა და განსაზღვრული განთავსების ზოლის გარეთ მდებარე აქტივების აღწერა, ინვენტარიზაცია და შეფასება.
6	██████████ ██████████	მიწის ნაკვეთის სრულად შექმნის მოთხოვნა დარჩენილი ფართობის დანიშნულებისამებრ გამოუყენებლობის გამო.	მოთხოვნა უარყოფილია	მიმდინარე	კი

სულ 29 ზეპირი და წერილობითი საჩივარი იქნა მიღებული. აქედან 15 ეხება დარჩენილი მიწის ნაკვეთების გამოსყიდვას, რაც შედარებით გავრცელებული პრობლემაა გზების დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ პროექტებში. ეს კონკრეტული შემთხვევები შეიძლება მივაწეროთ იმ ფაქტს, რომ თავდაპირველი განსახლების სამოქმედო გეგმის დოკუმენტები მომზადდა 2024 წელს, მაგრამ არ მოიცავდა დარჩენილი მიწის ნაკვეთების შეფასებას. შედეგად, დარჩენილ მიწებთან დაკავშირებული საკითხები განიხილა და გადაჭრა გზების დეპარტამენტის სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემური საკითხების განხილვის კომისიამ, რომელიც განიხილავს მსგავს შემთხვევებს განსახლების პროცესის განხორციელების

განხორციელების გრაფიკი და დარჩენილი ღონისძიებები:

დასახელება	2025										
	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
განსახლების კომპლექსური კვლევის ანგარიშის მომზადება											
განსახლების პროცედურების დასრულება											
ექსპროპრიაციის პროცედურების დასრულება											
მიმდინარე ჩართულობა											

საგზაო დეპარტამენტისა და მსოფლიო ბანკის მიერ კომპლექსური კვლევის ანგარიშის განხილვა										
მსოფლიო ბანკის მიერ კომპლექსური კვლევის ანგარიშის დამტკიცება										
კომპლექსური კვლევის ანგარიშის გამოქვეყნება საგზაო დეპარტამენტისა და მსოფლიო ბანკის ვებგვერდებზე										
გარე მონიტორინგი/CR										

15. კონსულტანტის მიერ კომპლექსური კვლევის ანგარიშის დროს ჩატარებული შეხვედრები

სოციალურმა კონსულტანტმა შეხვედრები გამართა დეპარტამენტის გუნდის წარმომადგენლებთან, კერძოდ:

██████████	სგდ - ინფრასტ. სამინისტრო, გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი;
██████████	სგდ - ინფრასტ. სამინისტრო, პროექტის განსახლების მენეჯერი, გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახური
██████████	სგდ - ინფრასტ. სამინისტრო, ავტომაგისტრალების მშენებლობის სამსახურის უფროსი
██████████	შპს „ალიგატორის“ დირექტორი
██████████	საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
██████████	დამოუკიდებელი შემფასებელი
██████████	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი, ეთნიკური უმცირესობა, მომჩივანი
██████████	პროექტის ზემოქმედების ფარგლებში ადგილმონაცვლე პირი

<p>[REDACTED]</p>	<p>ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირი, მხოლოდ მრავალწლიანი ნარგავების კომპენსაცია, მიწა ზემოქმედების ქვეშ არ მოყვა</p>
<p>[REDACTED]</p>	<p>პროექტის ზემოქმედების ფარგლებში ადგილმონაცვლე პირი</p>

შეხვედრის ფარგლებში განხილული იქნა დამაკავშირებელი გზის RAP-ის მომზადებისა და განხორციელების დეტალები. სოციალურმა სპეციალისტმა მოითხოვა ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებული არსებული ტექნიკური დოკუმენტაცია.

სოციალური უსფართობების კონსულტანტმა საველე ვიზიტი 2025 წლის 2 ივლისს განახორციელა. საველე ვიზიტის ფარგლებში, კონსულტანტი შეხვდა ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს, კერძოდ: ორ ოჯახს, რომლებიც ფიზიკურ ადგილმონაცვლეობას ექვემდებარებიან; ერთ ოჯახი კარგავს ნაკვეთს/ვენახს და მიეკუთვნება ეთნიკურ უმცირესობას; და ერთი ოჯახი, რომელმაც არ დაკარგა მიწა ან ნაგებობები, მაგრამ დაზარალდა პროექტის შედეგად მათ მიერ გამოყენებული მსხმოაიარე ხეების დაკარგვის გამო, რისთვისაც გაფორმდა შესაბამისი კომპენსაციის ხელშეკრულება.

კონსულტანტმა პუქ მოქცეულ ოჯახებთან განიხილა შემდეგი საკითხები:

დაკმაყოფილების ხარისხი განსახლების დოკუმენტაციის მომზადებისა და განხორციელების პროცესით; კომუნიკაციის პროცესის ეფექტიანობა და კმაყოფილების დონე.

16. კონსულტანტის მიერ განხილვის საფუძველზე გაკეთებული განცხადება

თავდაპირველად დაგეგმილი იყო, რომ ლოტი 3 და ლოტი 4 - დამაკავშირებელი გზის პროექტი დაფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

დამაკავშირებელი გზის მონაკვეთის განსახლების პროცედურების დასაწყებად საჭირო დოკუმენტები შპს „ალიგატორმა“ მოამზადა 2024 წლის თებერვალში.

განსახლების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული დოკუმენტები, როგორცაა ინვენტარიზაცია, შეფასება, მომზადდა და განხორციელდა საქართველოს რეგისტრაციის, მსოფლიო ბანკის ESS 5-ის მოთხოვნებისა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის კარგი პრაქტიკისა და გამოცდილების საფუძველზე:

- ✓ გამოყენებული შეფასების მეთოდოლოგიების შესაბამისობა და აღწერის სრულყოფილება;
- ✓ დარჩენილი მიწის ნაკვეთების სიცოცხლისუნარიანობა;

- ✓ მწვავე ზემოქმედება და მოწყვლადი ჯგუფები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ✓ საჯარო კონსულტაცია და საჩივრების განხილვის მექანიზმი;

განსახლების პროცედურები დაიწყო 2024 წლის მაისში და დღემდე მიმდინარეობს.

საერთო ჯამში, საავტომობილო გზების დეპარტამენტს შეუძლია დაადასტუროს, რომ ჩატარდა არსებითი ტექნიკური სამუშაოები დამაკავშირებელი გზის RAP-ის განახლებული დოკუმენტების მოსამზადებლად და ზოგადად, ეს დოკუმენტები იძლევა მიწის შესყიდვის ზემოქმედებასთან და შესაბამის შემარბილებელ ზომებთან და კომპენსაციასთან დაკავშირებულ ბევრ მნიშვნელოვან დეტალს.

ველზე გასვლის შედეგები

ფიზიკურ ადგილმონაცვლეობას დაქვემდებარებულმა ორივე ოჯახმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ განსაზღვრული სამთვიანი ვადა ადგილმონაცვლეობისთვის არასაკმარისია შემდეგი მიზეზების გამო:

1. ერთი ოჯახი ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროცესშია. შენობა სტრუქტურულად დასრულებულია, თუმცა დარჩენილია მცირე მოსაპირკეთებელი სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების დასრულება შეფერხდა ოჯახის უფროსის ბარძაყის ოპერაციისა და მისი რეაბილიტაციის გამო. ოჯახში ასევე ორი მცირეწლოვანი ბავშვი ცხოვრობს.
2. მეორე ოჯახმა ახალი საცხოვრებელი სახლი უკვე შეიძინა და ამჟამად ძველი სახლიდან ნივთების გადატანის პროცესშია. მათ ასევე დაგეგმილი აქვთ მცირე მეფრინველეობის ფერმის ახალ ადგილმდებარეობაზე გადატანა.

ორივე ოჯახი გადასვლის პროცესის დასასრულებლად დაახლოებით ერთ დამატებით თვეს ითხოვს.

დანარჩენ ორ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ოჯახს გადასახლების პროცესთან დაკავშირებით პრეტენზიები არ გამოუთქვამს.

ოჯახი, რომლის ვენახიც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა, ფლობს დამატებით მიწის ნაკვეთს და მიღებული კომპენსაციის გამოყენებას მის ტერიტორიაზე ფერმის დასაარსებლად გეგმავს.

ოჯახმა, რომელმაც დაკარგა მსხმოიარე ხეხილის ხეები, ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვით, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი საცხოვრებელი სახლის დატბორვის ნებისმიერი რისკი.

მეოთხე გამოკითხულმა ოჯახმა აღნიშნა, რომ კომუნიკაციის პროცესი კარგი ხარისხის და სრულიად დამაკმაყოფილებელი იყო.

17. საჯარო კონსულტაციები

საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან შეხვედრისას დადასტურდა, რომ ორი საჯარო კონსულტაცია ჩატარდა განსახლების პროცედურების დაწყებამდე, 2024 წლის 14 მაისს და განსახლების პროცედურების განხორციელების დროს, 2024 წლის 18 ოქტომბერს. პირველი კონსულტაცია მიზნად ისახავდა პროექტის ფარგლებში მისასვლელი გზის მშენებლობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახებისათვის ინვენტარიზაციის, აღწერისა და შეფასების შედეგების წარდგენას. მეორე კონსულტაცია ძირითადად ფიზიკურად ადგილმონაცვლე ოჯახებსა და ვენახის მფლობელებზე იყო ორიენტირებული. შეხვედრის ფარგლებში ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან გაიმართა დისკუსია გადაადგილებისთვის საჭირო ვადის შესახებ და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადეკვატური დროის უზრუნველყოფის საკითხს. დამატებით, განხილული იქნა ვენახის მართვასთან დაკავშირებული თემები — კერძოდ, დაზარალებულ პირებს უნდა გაეგრძელებინათ თუ არა ვაზის მოვლა, ან მიეღოთ გადაწყვეტილება მათი მოჭრისა და/ან ახალ ადგილას გადარგვის შესახებ.

ორივე შეხვედრის დროს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა შეფასების ანგარიშის დაბეჭდილი ვერსია, ინდივიდუალური ინვენტარიზაციისა და შეფასების ჩანაწერების დეტალურ ელექტრონულ ვერსიებთან ერთად.

რადგან დამაკავშირებელი გზის მშენებლობის დაფინანსება თავდაპირველად მსოფლიო ბანკის მიერ არ იყო დაგეგმილი, 2024 წლის 14^ე მაისს გამართული საჯარო კონსულტაცია ოფიციალურად არ იყო დოკუმენტირებული. მეორე საჯარო კონსულტაცია ჩატარდა 2024 წლის ოქტომბერში, როდესაც გზების დეპარტამენტმა დაიწყო პროექტის დონორი ორგანიზაციის მეშვეობით დაფინანსების შესაძლებლობის განხილვა, რის შედეგადაც აღნიშნული შეხვედრის სრული ჩანაწერი იქნა მოპოვებული.

ქვემოთ წარმოდგენილია 2024 წლის 18 ოქტომბრის კონსულტაციების ფოტოები და დამსწრეთა ხელმოწერილი სია.

ორივე საჯარო კონსულტაცია ჩატარდა კონტრაქტორის ბანაკში, ბადიაურის მახლობლად.

⁹ 2024 წლის 14 მაისი: განსახლების პროცედურები ოფიციალურად დაიწყო.



18. შემდეგი ნაბიჯები და გამოსასწორებელი ღონისძიებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ჩატარებული კომპლექსური კვლევის შეჯამების სახით, სოციალური კონსულტანტი წარმოგიდგენთ შემდეგ ძირითად დასკვნებს:

1. ინვენტარიზაციისა და შეფასების ანგარიში, რომელიც მოიცავს როგორც მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულების, ასევე შენობების ჩანაცვლებითი ღირებულების განსაზღვრას და განსახლების პროცედურების განხორციელებას, მომზადდა მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტის 5-ის (ESS5) სრული დაცვით. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ განსახლების პროცედურების ძირითადი ნაწილი უკვე დასრულებულია და დარჩენილია მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო საკითხი (მაგალითად, მიმდინარე ექსპროპრიაციის საქმეების დასრულება), აუცილებელია დეპარტამენტის მხრიდან მუდმივი მონიტორინგი და მხარდაჭერა. ეს საჭიროა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა დარჩენილი ღონისძიება განხორციელდეს ESS5-ის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობით. განსაკუთრებით, ESS5¹⁰-ის კონტექსტში მნიშვნელოვანია განსახლებისა და საარსებო წყაროს აღდგენის ღონისძიებების სისტემატური და უწყვეტი მონიტორინგი, რათა: ისინი ხორციელდებოდეს დადგენილი გეგმის შესაბამისად; ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს სრულად მიეწოდოთ მათთვის კანონითა და სტანდარტებით განსაზღვრული უფლებები; ნებისმიერი წამოჭრილი საკითხი დროულად იდენტიფიცირდეს და მოგვარებული იქნეს.

მიუხედავად იმისა, რომ საავტომობილო გზების დეპარტამენტი (სგდ) წარმოადგენს განმახორციელებელ უწყებას, მონიტორინგის უწყვეტი განხორციელება აუცილებელია შემდეგი მიმართულებებით:

- უზრუნველყოფა, რომ ყველა საჩივარი და პრეტენზია განიხილებოდეს მოქმედი საჩივრების განხილვის მექანიზმის მეშვეობით, რომელიც უნდა ფუნქციონირებდეს პროექტის სასიცოცხლო ციკლის დასრულებამდე;
- საჭიროების შემთხვევაში, გარე მონიტორის/დამკვირვებლის ჩართვა, დამოუკიდებელი ზედამხედველობისა და შემოწმების უზრუნველყოფისა და განხორციელების შემდგომი შეფასების ჩასატარებლად, რათა შეფასდეს საარსებო წყაროს აღდგენის შედეგები და მათი მდგრადობა;
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ინიცირებული ექსპროპრიაციის პროცედურების გაგრძელება და დასრულება საქართველოს კანონმდებლობის, მსოფლიო ბანკის ESS5-ის სტანდარტების და დანართ 1-ში წარმოდგენილი უფლებამოსილების მატრიცის სრული დაცვით.

2. რადგან ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია არ შეიცავს მონაცემებს მოწყვლადი ოჯახების შესახებ, განსახლებაზე პასუხისმგებელ უწყებას დაესვა კითხვა, თუ

¹⁰ სტანდარტული პრაქტიკის თანახმად, თითოეული RAP-ის განხორციელებისას, საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს შიდა მონიტორინგს, რათა დაადასტუროს, რომ ყველა აქტივობა ხორციელდება შესაბამისი პოლიტიკის ჩარჩოს, ამ შემთხვევაში, ESF-ის შესაბამისად. RAP-ის განხორციელების დასრულების შემდეგ, ჩატარდება დამოუკიდებელი მონიტორინგი RAP-ის მომზადებისა და განხორციელების ESS5-თან სრული შესაბამისობის შესაფასებლად, ასევე პუბ მოქცეული ოჯახების კმაყოფილების დონისა და GRM-ის სათანადო ფუნქციონირების შესაფასებლად.

როგორ დადგინდა 54 ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ოჯახს შორის მოწყვლადი ოჯახების არსებობა. სგდ-ს წარმომადგენელმა განმარტა, რომ კომპენსაციის ხელშეკრულებების ხელმოწერამდე, თითოეულ ოჯახს ჩაუტარდა გამოკითხვა, კვალიფიცირდებოდნენ თუ არა ისინი მოწყვლადად - კერძოდ, იყვნენ თუ არა ისინი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, მათ ოჯახებს მართავდა თუ არა ქალი, ან ჰყავდათ თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ოჯახის წევრი.

არცერთმა ოჯახმა, რომელმაც ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, არ დაადასტურა მოწყვლადობის სტატუსის ქონა. მოუხედავად ამისა, ESS5-ისა და ლოტი 3 -ის RAP-ის მოთხოვნების შესაბამისად, მოწყვლადობის სტატუსის შემდგომი შემოწმება უნდა ჩატარდეს ყველა პოტენციური მოქცეული ოჯახისთვის, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ ხელი მოწერილი ხელშეკრულებაზე. აღნიშნული უნდა მოიცავდეს ოჯახის მახასიათებლების ანალიზს პირდაპირი კომუნიკაციისა და კონსულტაციის გზით. გარდა ამისა, უნდა ჩატარდეს კონსულტაცია ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან იმის დასადგენად, გააჩნიათ თუ არა მათ რაიმე ჩანაწერი ან სოციალური დახმარების მონაცემები, რაც ხელს შეუწყობს მოწყვლადი სტატუსის მქონე ოჯახების იდენტიფიცირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ლოტი 3-ის თავდაპირველი RAP-ის თანახმად, მოწყვლადობა განიმარტება როგორც: ნებისმიერი ადამიანი, ვინც შეიძლება განიცადოს არაპროპორციული ზემოქმედება ან განსახლების შედეგების გამო მარგინალიზაციის რისკის წინაშე აღმოჩნდეს, ანუ (i) ოჯახი ქალი მარჩენალით მასზე დამოკიდებული პირებით(18 წლამდე ასაკის ბავშვები); (ii) ღარიბი ოჯახები, რასაც განსაზღვრავს სიღარიბის ზღვარის ოფიციალური მაჩვენებელი; და(iii) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ოფიციალური სტატუსით. ამჟამინდელ განმარტებაში არ არის დებულებები ერთსულიან ოჯახებში ხანდაზმული პირებისთვის. ESF-თან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, გადამოწმების პროცესი გაფართოვდება და მოიცავს მარტო მცხოვრები ხანდაზმული პირების შეფასებას და გადამოწმებას, როგორც დამატებით პოტენციურად მოწყვლადი კატეგორიისა. აღნიშნული პროცესი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- **თითოეულ ოჯახთან ხელახალი დაკავშირება** ტელეფონით ან პირადი ვიზიტის გზით, რათა დასმული იქნეს მოკლე გადამოწმების კითხვები დადგენილი მოწყვლადობის კრიტერიუმების შესახებ (მაგალითად: ოჯახის შემოსავალი, რომელიც ოფიციალურად დადგენილ სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა; ოჯახები, რომელსაც ხელმძღვანელობს ქალი; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების არსებობა; ოჯახები, რომლებსაც არ გააჩნიათ სოციალური დახმარება; ოჯახები, რომელსაც ხელმძღვანელობენ ხანდაზმული პირები და სხვ.);
- **არსებული ინფორმაციის ჯვარედინი გადამოწმება** ადგილობრივი მუნიციპალიტეტის სოციალური მომსახურების სამსახურებთან, მათ შორის სოციალური დახმარების პროგრამებში რეგისტრირებული ოჯახების მონაცემების გამოთხოვა, ასეთის არსებობის შემთხვევაში (მაგალითად, საარსებო მინიმუმის ან შეზღუდული შესაძლებლობის შემწეობა);
- **შემოწმების შედეგების დოკუმენტირება**, მათ შორის იდენტიფიცირებული მოწყვლადი ოჯახების შეჯამება, მოწყვლადობის ტიპის განსაზღვრა და შესაბამისი დახმარების ზომების განსაზღვრა, რომლებიც შეთავაზებული უნდა იქნას RAP-ის დებულებების შესაბამისად;

- კომპენსაციის მატრისის განახლება, საჭიროებისამებრ, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა ახლად იდენტიფიცირებულმა მოწყვლადმა ოჯახმა მიიღოს შესაბამისი დამატებითი დახმარება.

შესაბამისობის ანგარიშის მომზადება განსახლებისა და ექსპროპრიაციის პროცედურების სრულად დასრულების შემდეგ (ამ ეტაპზე ქეისების 95% დასრულებულია). უნდა მომზადდეს და ბანკს წარედგინოს დასრულების ანგარიში, მათ შორის კმაყოფილების კვლევა. მოსალოდნელია, რომ პროცესი დასრულდება 2025 წლის დეკემბრის ბოლოსთვის; შესაბამისად, შესაბამისობის ანგარიში მომზადდება და ბანკს წარედგინება 2026 წლის თებერვლის ბოლოსთვის.

სამშენებლო სამუშაოების დროს არაპირდაპირი სოციალური ზემოქმედება ასევე დაექვემდებარება მონიტორინგს და შერბილებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). როგორც სავსე ვიზიტის დროს აღინიშნა, ერთ-ერთმა გამოკითხულმა პირმა გამოთქვა მოსაზრება, რომ რადგან გზა მათ სახლთან ახლოს გაივლის, სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების სტანდარტების სრული დაცვით, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი სახლის დატბორვის შესაძლო რისკი. მშენებლობის დროს შესაძლოა წარმოიშვას პოტენციური დამატებითი ზემოქმედება, რომელიც უნდა იყოს წინასწარ ნავარაუდევო, გათვალისწინებული და მუდმივი მონიტორინგის საგანი.

დანართი 1

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუქმ პირების განსაზღვრა	კომპენსაციის უფლებამოსილება
<p>ყველა სახეობის მიწის (სახნავ-სათესი, საცხოვრებელი, სამრეწველო, კომერციული) მუდმივი დაკარგვა.</p>	<p>მიწის ყველა სახეობის დაკარგვა ზემოქმედების ხარისხის მიუხედავად</p>	<p>პუქმ პირები (სრულყოფილად დარეგისტრირებული საკუთრების უფლებით)</p>	<p>პუქმ პირი მიიღებს ფულად კომპენსაციას ჩანაცვლებითი ღირებულების სრული ოდენობით მიმდინარე საბაზრო ფასების გათვალისწინებით. ერთეულის ფასები დადასტურდა 2024 წლის შეფასების ანგარიშში.</p> <p>თუ კანონიერი მფლობელის მიერ გამოყენებული მიწის დარჩენილი ნაწილი გამოუსადეგარი იქნება, მოხდება მისი შესყიდვა მფლობელთან შეთანხმების საფუძველზე</p>
		<p>პუქმ პირები (დაკანონებადი მიწის ნაკვეთების მფლობელები)</p>	<p>პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის დახმარების გაწევა მათ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის დაკანონების პროცესში. საკუთრების უფლების ლეგალიზაციისა და რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, განხორციელდება მიწის შესყიდვა. პუქმ პირი მიიღებს ფულად კომპენსაციას ჩანაცვლებითი ღირებულების სრული ოდენობით მიმდინარე საბაზრო ფასების გათვალისწინებით, დამტკიცებულ გსგ-ში შემოთავაზებული ერთეულის ფასის შესაბამისად.</p>
		<p>კერძო და სახელმწიფო მიწის მოიჯარეები</p>	<p>იჯარის ხელშეკრულების უფასო განახლება სხვა ნაკვეთებზე, რომლებიც იქნება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთის ანალოგიური ღირებულებისა და მოსავლიანობის;</p> <p>ფულადი კომპენსაცია, რომელიც უტოლდება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაკვეთიდან მოსული მთლიანი მოსავლის საბაზრო ღირებულებას იჯარის დარჩენილი ვადისთვის (მაქსიმუმ 3 წლამდე);</p> <p>გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელს გააჩნია დასაბუთებული ინვესტიციები დაქირავებული მიწის ნაკვეთის გასაუმჯობესებლად, მას მიენიჭება შესაბამისი ფულადი კომპენსაცია.</p>

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუბლიკაციის განსაზღვრა	კომპენსაციის უფლებამოსილება
		მოიჯარე (არარეგისტრირებული)	ფულადი კომპენსაცია, რომელიც უტოლდება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაკვეთიდან მოსული მთლიანი მოსავლის საბაზრო ღირებულებას იჯარის დარჩენილი ვადისთვის (მაქსიმუმ 3 წლამდე);
		საკუთრების დოკუმენტის არქონე, არალეგალიზებული მიწის ნაკვეთების მომხმარებლები / სკვატერები	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირები, რომლებიც კარგავენ მიწებს, რომელიც არ ექვემდებარება დაკანონებას არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ვერ მიიღებენ კომპენსაციას უშუალოდ მიწისთვის, მაგრამ მიიღებენ კომპენსაციას აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე არსებული აქტივების (ნაგებობების, კულტურების, ხეების და ა.შ.) დაკარგვის შემთხვევაში.
სათემო მიწის მუდმივი დაკარგვა (სამოვრები, სათიბები)		ადგილობრივი თემი, რომელიც კარგავს სამოვრებზე და სათიბებზე წვდომას	ადგილობრივი ხელისუფლება ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებს უფასოდ გამოუყოფს მათთვის მისაღები ანალოგიური ზომის, ნაყოფიერებისა და ადგილმდებარეობის მიწის ნაკვეთებს. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ჩანაცვლება შეუძლებელი აღმოჩნდება, დაზარალებულთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მომზადდება და განხორციელდება საარსებო წყაროს აღდგენის გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მათი საარსებო წყაროს შენარჩუნებას სულ მცირე იმ დონეზე, რაც არსებობდა პროექტის დაწყებამდე.
შენობა-ნაგებობები			
საცხოვრებელი სახლი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული საცხოვრებელი, რომელიც ექვემდებარება სრულ ან	პუბლიკაციის დარეგისტრირებული საკუთრების უფლებით; პუბლიკაციის, რომლებიც გამოცხადდნენ	ყველა ზემოქმედება განიხილება როგორც სრული ზემოქმედება, ფაქტობრივი ზემოქმედების პროცენტული მაჩვენებლის მიუხედავად. ზემოქმედების ასანაზღაურებლად ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს მიენიჭებათ ფულადი კომპენსაცია სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით, ყოველგვარი ამორტიზაციის, ტრანზაქციის ხარჯებისა და კანონმდებლობით

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუბლიკაციის განსაზღვრა	კომპენსაციის უფლებამოსილება
	ნაწილობრივ დემონტაჟს	ნ კანონიერ მფლობელობა	<p>გათვალისწინებული გადასახადების დაქვითვის გარეშე.</p> <p>გარდა ამისა, საარსებო წყაროს აღდგენის ინიციატივით უზრუნველყოფილი იქნებიან ის პუბლიკაციები, რომელთაც ემუქრებათ საცხოვრებელი პირობების გაუარესება შემოთავაზებული გზის პროექტის არაპირდაპირი ზემოქმედების შედეგად (მაგ. პროექტის ზემოქმედება გავრცელდება მხოლოდ საცხოვრებლის სრულ ფულად კომპენსაციაზე ჩანაცვლებითი ღირებულებით და დამატებითი ერთჯერადი დახმარებით ვარგისი მასალების და პირადი ნივთების ტრანსპორტირებაზე). თუმცა შემოსავლის მომტანი სხვა აქტივები (სასოფლო-სამეურნეო /კერძო კომერციული ობიექტები) შესაძლოა დარჩეს პროექტის ზემოქმედების მიღმა; შესაბამისად ეს აქტივები შესაძლოა არ მოხდეს პროექტის საკომპენსაციო პაკეტში. პუბლიკაციებმა გადაადგილების და ახალ ადგილას დაფუძნების შემდგომ, შესაძლოა, დროებით დაკარგონ შემოსავალი იმ შემთხვევაში, რომელიც შემოსავლის მომტან აქტივებზე წვდომის არარსებობის გამო (გაზრდილი დრო მგზავრობისთვის, რთული მისასვლელი), რომელზეც არ ვრცელდება პროექტის ზემოქმედება.</p>
		საცხოვრებელი ფართის დამქირავებელი/მოიჯარეები	<p>ერთჯერადი დახმარება უდრის ყოველთვიური ქირის გადასახადს (მითითებულია იჯარის ხელშეკრულებაში) გამრავლებულს 3-ზე; თუ იჯარის ხელშეკრულება არ არის ხელმისაწვდომი, საშუალო სამომხმარებლო ერთეულის ფასი x 2.25 გამრავლებული 3-ზე;¹¹</p> <p>გარდა ამისა, ერთჯერადი ტექნიკური დახმარება პირადი ნივთების ახალ ადგილას ტრანსპორტირებისთვის; ან ერთჯერადი ფულადი</p>

¹¹ მოიჯარის მიერ ქირის ხანგრძლივი დროით წინასწარ გადახდის შემთხვევაში, მეპატრონეს მოსთხოვენ აუნაზღაუროს მოიჯარეს შესაბამისი პერიოდის გადასახადი, თუ არსებობს მტკიცებულება.

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუბლიკის პირების განსაზღვრა	კომპენსაციის უფლებამოსილება
			დახმარება პირადი ნივთების ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარად.
კომერციული ნაგებობები	პუბლიკ კომერციული ობიექტები, რომლებიც ექვემდებარება ნაწილობრივ/სრულ დემონტაჟს	საკუთრების უფლების მქონე პირი	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნაგებობისა და სხვა ძირითადი საშუალებებისთვის გაიცემა ფულადი კომპენსაცია ჩანაცვლებითი ღირებულებით, მიმდინარე საბაზრო ფასებით, რომელიც გამოითვლება ამორტიზაციის ღირებულების, ტრანზაქციის გადასახადებისა და გადარჩენილი მასალების ფასის ან ან კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ოდენობის დაქვითვის გარეშე. თუ ნაწილობრივი დანგრევის შემთხვევაში შეიძლება დადგეს მთლიანი შენობის განადგურების საფრთხე ან წამოიჭრას ადამიანების უსაფრთხოების საკითხი, კომპენსაცია შეეხება როგორც მთლიან შენობას ისე მასთან უძრავად დაკავშირებულ, ანუ მის განუყოფელ აქტივებს.
		კომერციული ობიექტის მოიჯარე	ერთჯერადი შემწეობა, რომელიც უდრის ყოველთვიურ ქირის გადასახადს (განსაზღვრულია იჯარის ხელშეკრულებაში) გამრავლებული სამზე; თუ იჯარის ხელშეკრულება არ არის ხელმისაწვდომი, სამომხმარებლო საშუალო ერთეულის ფასი x2.25 გამრავლებული 3-ზე.
სახელმწიფოს/ მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შენობები	სახელმწიფოს/ მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შენობები, რომლებიც ექვემდებარება ნაწილობრივ	იძულებით ადგილნაცვალ ი პირები, დევნილები, თვითნებურად შეჭრილები, რომლებიც საცხოვრებლად იკავებენ ობიექტს	საცხოვრებელი სამთავრობო განსახლების ზონებში ან შემწეობა თვითგადაადგილებისთვის, როგორც ეს გათვალისწინებულია დამტკიცებულ გსგ-ში.

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პზქმ პირების განსაზღვრა	კომპენსაციის უფლებამოსილება
	ან სრულ დემონტაჟს		
ღობეები /კედლები	პზქმ ყველა პირი, რომლის ღობეც მოექცა ზემოქმედების ქვეშ	პზქმ ყველა პირი,	ფულადი კომპენსაცია ჩანაცვლებითი ღირებულებით (მშენებლობა), ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ღობის /კედლის მასალის და გრძივი მეტრის გათვალისწინებით.
ერთწლიანი კულტურები	ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ერთწლიანი კულტურები	პზქმ ყველა პირი (თვითნებურად და შეჭრილების/სკვოტერების ჩათვლით)	მოსავლის ფულადი კომპენსაცია სრული საბაზრო განაკვეთით რეალური ან მოსალოდნელი მოსავლის ღირებულების გათვალისწინებით. ამ ერთეულისთვის კომპენსაცია გაიცემა მიუხედავად იმისა, ზემოქმედების მომენტისათვის მოსავალი ფაქტიურად აღებული იქნება, თუ არა
კერძო მიწის ნაკვეთებზე განთავსებულ ი მრავალწლიანი ნარგავები	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მსხმოიარე ხეხილი	პზქმ ყველა პირი (თვითნებურად და შეჭრილების ჩათვლით)	ფულადი კომპენსაცია საბაზრო ღირებულების საფუძველზე ხეების ტიპის, ასაკის, ნაყოფიერების და მსხმოიარობის პერიოდის გათვალისწინებით. თითო მსხმოიარე ხეზე დამატებით გაიცემა ანაზღაურება ნერგის შესაძენად. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი უფლებამოსილია განკარგოს მოჭრილი ხეები თავისი შეხედულებისამებრ. სამშენებლო კომპანია უზრუნველყოფს ხის შეუფერხებელ ჭრას და მერქნის მიწოდებას პზქმ პირის საცხოვრებლად.
	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული არამსხმოიარე ხეები	პზქმ ყველა პირი (თვითნებურად და შეჭრილების ჩათვლით)	ფულადი კომპენსაცია არ გაიცემა არამსხმოიარე ხეებზე. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი უფლებამოსილია განკარგოს მოჭრილი ხეები. სამშენებლო კომპანია უზრუნველყოფს ხის შეუფერხებელ ჭრას და მერქნის მიწოდებას პზქმ პირის საცხოვრებლად.
მრავალწლოვანი ნარგავები (სახელმწიფო	არამსხმოიარე ხეები	კერძო საკუთრებაში არსებული	სამშენებლო კომპანიამ უნდა გადასცეს მოჭრილი ხეები მუნიციპალიტეტს. შემდგომში მუნიციპალიტეტმა შესაძლოა აღნიშნული მორები

ზემოქმედების ტიპი	გამოყენება	პუქმ პირების განსაზღვრა	კომპენსაციის უფლებამოსილება
მიწის ნაკვეთებზე განთავსებული)		მიწის ნაკვეთის გარეთ მდებარე მრავალწლოვანი ნარგავები	დაურიგოს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოსახლეობას
სატყეო ფონდის მიწაზე განთავსებული მრავალწლოვანი მცენარეები	არამსხმოიარე ხეები	კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გარეთ არსებული მრავალწლოვანი ნარგავები	აღნიშნული ღონისძიების კანონიერად განხორციელებისთვის საჭიროა, ტყის ფონდის მიწებზე არსებული მრავალწლიანი მცენარეები ამოირიცხოს სახელმწიფო სატყეო ფონდიდან საქართველოს მთავრობის შესაბამისი ბრძანებულების მიხედვით. სამშენებლო კომპანიამ უნდა გადასცეს მოჭრილი ხეები მუნიციპალიტეტს. შემდგომში მუნიციპალიტეტს შეეძლება აღნიშნული მორები დაურიგოს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოსახლეობას.
შემოსავლის დაკარგვა			
მეიჯარეები/მესაკუთრეები	შემოსავლის დაკარგვა იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად	პუქმ ყველა პირი, რომელსაც აქვს იჯარის/ქირავნობის ხელშეკრულება	ერთჯერადი დახმარება, რომელიც ტოლია ყოველთვიური იჯარის გადასახადის (მითითებული საიჯარო ხელშეკრულებაში) 3-ზე ნამრავლისა; თუ იჯარის ხელშეკრულება არ არის ხელმისაწვდომი, სამომხმარებლო საშუალო ერთეულის ფასი x2.25 გამრავლებული 3-ზე.
